აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№30 (24.910) სამშაბათი, 29 - 30 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 5-10 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

300-მდე მრავალბინიანი კორპუსი ახალი, თანამედროვე საცხოვრისით ჩანაცვლდება

საქართველოს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა - „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, - ამის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გუშინ საქართველოს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა

- აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სრულად ჩანაცვლდება დაახლოებით 300-მდე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი ახალი, თანამედროვე საცხოვრისით და 3000-ზე მეტი ოჯახი გააგრძელებს ცხოვრებას უსაფრთხო გარემოში. ამ მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ყველა დეველოპერს, მშენებელ კომპანიას შესთავაზებს 150 მილიონი ლარის მოცულობის საბანკო თავდებობას პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად, - აღნიშნა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა. მან ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხა და თქვა, რომ პროგრამა იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე.

- მთავრობამ უკვე მიიღო დადგენილება. შემდეგი დღეების განმავლობაში ჩვენ ყველა დეველოპერს, მშენებელ კომპანიას შევთავაზებთ იმ კონკრეტულ პირობებს, რომლის საფუძველზე მათ როგორც დაკრედიტების, ისე თავდებობის კუთხით საბანკო დაწესებულებებთან არ ექნებათ მნიშვნელოვანი გამოწვევა და შემდეგ უკვე ისინი განახორციელებენ კონკრეტულ მოლაპარაკებებს ავარიულ სახლებში მცხოვრებ ოჯახებთან. ეს პროგრამა ჩვენ გასულ წელს დავიწყეთ, 80 მლნ ლარი იყო გათვალისწინებული კაპიტალური პროექტებისთვის. ეს არის მეორე ფაზა ამ პროგრამის, რომლის ფარგლებშიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩაერთვებიან როგორც საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები, ასევე დეველოპერები, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქვეყანაში და მთლიანად რეგიონში მიმდინარე პროცესებზე გაამახვილა ყურადღება, აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი გამოწვევა მსოფლიოს არ ჰქონია ევროპაში - ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ომი და ამ ფონზე, მთავრობის ეკონომიკური გუნდი ცდილობს, ქვეყანაში მიაღწიოს ეკონომიკურ ზრდას.

პრემიერმა ისაუბრა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების დადებით შედეგებზე.

- დღეს არის 5 წლისთავი მას შემდეგ, რაც ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი ამოქმედდა. ყველას ვულოცავ ამ მნიშვნელოვან თარიღს. მოგეხსენებათ, ჩვენ ამისთვის ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, მთელმა მთავრობამ და მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვისაც წვლილი აქვს შეტანილი ამ შედეგის მიღწევაში. აქვე, მოსახლეობას მინდა შევახსენო, რომ ეს პროცესი ჩვენ 2013 წელს დავიწყეთ, მაშინ, როცა გადმოგვეცა უვიზო რეჟიმის სამოქმედო გეგმა. მაშინ ძალიან ინტენსიური მუშაობა გასწია მთავრობამ, რაც 2015 წლის დეკემბერში დავასრულეთ. ევროკავშირმა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა აღნიშნული სამუშაოები და სწორედ ამის შემდეგ, ძალიან მალე, დაახლოებით ერთ წელიწადში სავიზო რეჟიმი მოიხსნა და ჩვენი მოქალაქეები უვიზო რეჟიმით სარგებლობენ ევროკავშირის ქვეყნებში. მინდა, მოსახლეობას ასევე შევახსენო, რომ საქართველოს ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ თითქმის მილიონ-ნახევარზე მეტი ვიზიტი განახორციელა ამ 5 წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებში, რაც, რა თქმა უნდა, არის კონკრეტული ხელშესახები შედეგი, რაც მივიღეთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა სხდომაზე აღნიშნა, რომ აპრილიდან იგეგმება კონკრეტული მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მშენებლობის წახალისება, დასაქმების პროგრამა და სხვა. გრძელვადიანი განვადებით მშენებლობების დაწყების მიზნით, მთავრობამ მშენებელი კომპანიებისთვის წინადადების პაკეტი შეიმუშავა, რაც მათ ერთი კვირის განმავლობაში წარედგინებათ. მისივე თქმით, ქვეყანაში ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება.

იხ. გვ-7 გვ.

კრიალოსა N იუსი

ჩვენ არ გვაქვს ისეთი ფინანსური რესურსები, როგორც დიდ ქვეყნებს და არ შეგვიძლია ისეთი ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა უკრაინისთვის, ან სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც სხვა ქვეყნებს უფრო ძლიერად აქვთ, თუმცა, ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანას, ზომის და შესაძლებლობების მიუხედავად, გვაქვს იმავე წონის ერთი ხმა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პლატფორმებზე და სწორედ ამ ერთ ხმას მტკიცედ ვიყენებთ უკრაინის მხარდასაჭერად, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ უკრაინაში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ონლაინშეხვედრისას. შალვა პაპუაშვილმა უკრაინელ ერს და უკრაინაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს მხარდაჭერა და სოლიდარობა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

* * *

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია დღემდე რჩება ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს უმნიშვნელოვანეს მიღწევად, რომელმაც საქართველოს მოქალაქეებისთვის ხელშესახები შედეგები მოიტანა, - განაცხადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე. მისი თქმით, ამ პერიოდში საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, უვიზოდ, დაახლოებით, მილიონ-ნახევარი ვიზიტი განხორციელდა. „ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ გატარებული მრავალრიცხოვანი და კომპლექსური რეფორმების შედეგი“, - აღნიშნა მან.

* * *

პარლამენტში განიხილება „ნოტარიატის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება, რომელიც ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკის გაზრდას ითვალისწინებს. მოქმედი რედაქციით, ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკი 65 წელია, თუმცა იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია, გაუგრძელოს მას უფლებამოსილების ვადა არა უმეტეს 5 წლით. „წარმოდგენილი ცვლილებით, იხსნება მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილება და ყველა ნოტარიუსი შეძლებს, უფლებამოსილება 70 წლამდე განახორციელოს“, - განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილმა.

* * *

ელჩების დანიშვნის საკითხზე გადამწყვეტია შეთანხმება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, - განაცხადა „ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა იურიდიული კომიტეტის სხდომაზე. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის განხილვისას მან აღნიშნა, რომ ელჩების დანიშვნის მხრივ პრეზიდენტი ერთპიროვნულად ვერაფერს აკეთებს, მაგრამ უარყოფის უფლება აქვს, რაც მნიშვნელოვანია.

მოამზადა
ია შველიძემ

«SMEDA»-ს პირველი ბიზნესფორუმი - ბათუმში

2

«კრემლს თუ მიეცა შესაძლებლობა, უკრაინას დაანაწევრებს, სატელიტ ქვეყნად გადააქცევს»

3

«მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია მშვიდობიანი მოსახლეობის სამიზნედ ქცევა»

4

ლევან ათაძე: ჯართის პირველ იმპორტიორად იქცა რუსეთი უკრაინაში

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„SMEDA“-ს პირველი ბიზნესფორუმი - ბათუმში

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

„მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის (SMEDA)“ პირველი ბიზნესფორუმი სახელწოდებით „მცირე და საშუალო ბიზნესის როლი და განვითარების პერსპექტივები“ სასტუმრო რედისონში გაიმართა

„SMEDA“-ს მიერ ორგანიზებული ბიზნესფორუმის მთავარი მიზანია, წარმოაჩინოს სამეწარმეო საქმიანობის მრავალფეროვნება საქართველოში, ხელი შეუწყოს ბიზნესწრეების წარმომადგენლებს შორის მყარი, საქმიანი კავშირების შექმნას, ასევე, მდგრად და ინოვაციებზე ორიენტირებულ მცირე და საშუალო ბიზნესსექტორის ჩამოყალიბებას.

ფორუმის ფარგლებში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციასა (SMEDA) და კომპანიებს შორის შეხვედრები (B2B) გაიმართა, სადაც მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

ფორუმი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ გახსნა. მინისტრმა აჭარის საინვესტიციო პოტენციალზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. ჯაბა ფუტკარაძემ ბიზნესწრეების წარმომადგენლებს, სამინისტროს ბიზნესის ხელშეწყობის ახალი პროექტი გააცნო.

შეხვედრაზე აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა გიორგი სურმანიძემ სამინისტროს 2022 წლის პროგრამებზე, სოფლად მეწარმეობის და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობაზე ისაუბრა.

ფორუმს აჭარის მუნიციპალიტეტების მერები, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ბიზნესწრეების წარმომადგენლები - სულ 70 დელეგატი ესწრებოდა.

- „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციამ" პირველად ჩაატარა ბიზნესფორუმი, რომელიც, ძირითადად, გაცნობითი ხასიათის იყო. ჩვენ მოწვეული გვყავდა აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან და მათ შორის ბათუმიდანაც მეწარმეები, რომლებსაც აქვთ როგორც საოჯახო ტიპის სასტუმროები, ასევე, ზოგიერთს - სოიოს საწარმო, ჩირის საწარმო, მეღვინეობით არიან დაკავებული და მრავალი სხვა. მსგავსი ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვანია მეწარმეებისთვის, რადგან, მოგეხსენებათ, ბიზნესის დაწყება შედარებით ადვილია, თუმცა მისი შენარჩუნება ძნელი. გართულდა მისი მართვა, რადგან არის კონკურენცია. ასევე, პრობლემაა არასწორი მენეჯმენტიც. ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები გამოცდილი ფინანსისტები არიან, ეკონომისტები, იურისტები, რომლებსაც მეწარმეებთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებთ, აქვთ გამოცდილება და შესაბამისად, იციან რა და როგორ დასჭირდებათ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულებს. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომ არის მსგავსი ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვანი, არის ის, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლები მეწარმეებს დაეხმარებიან მათი ბიზნესის გაციფრულებაში, რაც, ვფიქრობ, დღევანდელ დროში აუცილებელი მიმართულებაა. ასევე, ორგანიზაცია უზრუნველყოფს როგორც სწორი მენეჯმენტის დაგეგმარებას, ადვოკატირებასა და ბუღალტერიასაც. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მსგავსი ტიპის შეხვედრები შემდგომში, უშუალოდ მუნიციპალიტეტებშიც გაიმართება, - გვითხრა „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის“ ელჩმა აჭარაში ნათია თავდგირიძემ.

იხ. მე-7 გვ.

ადგილობრივი ბიუჯეტი მილიონი ლარით გაიზარდა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

შუახევის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი საწყის ეტაპზე 15 მილიონი ლარით განისაზღვრა. იმთავითვე იყო შეპირება, რომ საანგარიშო პერიოდში საფინანსო დოკუმენტში გარკვეული კორექტივები შევიდოდა

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაზრდილი ბიუჯეტი დასამტკიცებლად ამ დღეებში წარუდგინეს. იგი 2,2 მილიონი ლარითაა მომატებული.

მარტის სხდომაზე ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს. საკრებულოს წევრებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს გაზრდილი ბიუჯეტის პარამეტრები მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ანზორ ცეცხლაძემ გააცნო. იგი გათვლილია იმ სოციალური პროექტების, კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე, რაც თითოეული შუახეველის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. უკვე კორექტირებულ ბიუჯეტში თანხებია მობილიზებული მარტოხელა მშობლებზე ყოველთვიური დანამატის გასაცემად. ამ წამოწყების ინიციატორი შუახევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო იყო.

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებანი გამოთქვეს დეპუტატებმა ედნარ კეჟერაძემ, სოსლან ზოიძემ, ზვიად დიასამიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

სხდომაზე, ასევე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსის მაია ტაკიძის ინფორმაცია მოისმინეს.

83 სოფელზე გადანაწილდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ დიდ სარგებელს უტოვებს ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ამ პროგრამის ბიუჯეტიდან 83 სოფელსა და ცალკეულ უბნებში გარე განათება მოეწყო, გამოიყვანეს სასმელი წყალი, გაიყვანეს საავტომობილო გზები, მოაწესრიგეს რიგი სოფლების ცენტრები. ტრადიციულად, სოფლებში კრებები ტარდება და მოსახლეობა სასურველ პროექტებს ირჩევს. ხულოს მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები იწყება.

2022 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტს 1 000 000 ლარი გამოეყო.

სოფლის კრებები მიმდინარე წლის 28 მარტიდან 1 აპრილამდე პერიოდში გაიმართება.

- კრებებს ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებელი პირებიც დაესწრებიან. მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტს ადგილზე კენჭს უყრიან და ძირითად ნუსხაში აისახება, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ნადიმ ვასაძემ.

აჭარის პროფკავშირები - უკრაინის დასახმარებლად

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკურ გაერთიანებაში გრძელდება უკრაინის მხარდამჭერი აქცია, სადაც აქტიურად მონაწილეობს გაერთიანების ყველა წევრი ორგანიზაცია, დარგობრივი და პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები, პროფკავშირის წევრები და რიგითი მოქალაქეები

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის აჭარის დარგობრივი ორგანიზაცია და მასში შემავალი პირველადი პროფკომიტეტები, ასევე, აჭარის ტრანსპორტის პროფესიული კავშირები და გაერთიანების აპარატის თანამშრომლების მხარდაჭერა.

ვინაიდან დღეის მდგომარეობით უკრაინაში განსაკუთრებული საჭიროებაა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამედიცინო საშუალებებზე, პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების გადაწყვეტილებით, შეძენილია 3000-ზე მეტი გადასხმის სისტემა, ამდენივე 5 და 10-გრამიანი შპრიცები, ასევე, გადასხმისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები და გადასახვევი საშუალებები (მარლა, ბამბა, სტერილური ბინტი, ჰიგიენის საშუალებები და სხვა).

მიმდინარე წლის 26-27 მარტს დაგეგმილია შეძენილი ნივთების დასაწყობება გაერთიანების ჰუმანიტარული დახმარების შტაბში (კ. გამსახურდიას ქ. №13), საიდანაც უახლოეს დღეებში ტვირთი ტრანსპორტირდება უკრაინაში.

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება მადლობას უხდის საფთიაქო ქსელ „ნაზილბეს“ ხელშეწყობისა და ოპერატიულობისათვის, ასევე ყველა მოქალაქეს, ვინც მონაწილეობს უკრაინის მხარდამჭერ აქციებში.

მარი მიდასელი

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრებთან და ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად, „ოცნების ქალაქის“ მშენებლობა დაათვალიერა და იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. „ოცნების ქალაქის“ პირველი ეტაპის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება და 582 ოჯახს გადაეცემა საცხოვრებელი ბინები. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების პარალელურად, პროექტის მეორე ეტაპის განხორციელებისთვის საჭირო პროცედურები დაიწყო, რომელიც გულისხმობს მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების, საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღისა და სათამაშო მოედნების მოწყობას.

* * *

მძღოლებმა საწვავის გაძვირება გააპროტესტეს ბათუმში. მოთხოვნები - აქციზის გადასახადის გაუქმება და დღგ-ის გადასახადის მცურავ რეჟიმზე გადაყვანაა. მძღოლებმა პროტესტის ნიშნად ქალაქის ქუჩებში ავტომობილებით მსვლელობა გამართეს. ისინი აცხადებდნენ, რომ პროტესტი გაგრძელდება მანამ, ვიდრე საწვავის ფასი არ დაიკლებს. ცნობისთვის, ბენზინგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი უმაღლესი ხარისხის საწვავი 4 ლარია, „პრემიუმი“ 3 ლარსა და 85 თეთრს აღწევს, რეგულარის ფასი კი 3 ლარი და 75 თეთრია. რაც შეეხება „ევრო დიზელს“, მისი ფასი 4 ლარს აჭარბებს.

* * *

„დახურეთ უკრაინის ცა!“, „აქ ბავშვებია!“ - წარწერა ქვაფენილზე და სანთლები. უკრაინელი და ბელარუსი მოქალაქეები ბათუმში სხვადასხვა პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციის წევრებთან ერთად შეიკრიბნენ. მათი მთავარი მოთხოვნა იყო, შეწყვიტოს რუსეთმა ომი, ნატომ კი უკრაინის ცა დახუროს. ომიდან 1 თვეზე მეტი გავიდა, უკრაინაში ასობით ბავშვი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. რუსი ჯარისკაცები ესვრიან საცხოვრებელ სახლებს და შენობებს, სადაც ბავშვები არიან. აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ ბევრმა მოახერხა და თავი სხვა ქვეყანას შეაფარა, თუმცა იქიდან იბრძვიან მშვიდობისთვის.

* * *

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა, სადაც წარმატებით იასპარეზა ქართულმა დელეგაციამ. საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს პირველობაზე საუკეთესო შედეგები დააფიქსირა. წელს პირველად საქართველო სრული გუნდით წარსდგა მსოფლიო ჩემპიონატზე. აქამდე მსოფლიო ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგი ელენე გედევანიშვილის მე-10 ადგილი იყო. ახლა მორის ყვითელაშვილმა და ციგურაობის წყვილმა კარინა საფინასა და ლუკა ბერულავას შემადგენლობით, მე-4 პოზიციები დაიკავეს, ხოლო ანასტასია გუბანოვა მე-6 პოზიციაზე გავიდა. მე-15 ადგილზე გავიდნენ მარია კაზაკოვა და გიორგი რევია. ამ შედეგებით, ქართულ დელეგაციას ვაუებში, ქალებში და წყვილებში 2-2 წარმომადგენლის გამოყვანის უფლება ექნება. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველო 10 სპორტსმენით წარდგება. მას 2023 წელს იაპონიის ქალაქი საიტამა 20-26 მარტს უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე რუსი და ბელარუსი სპორტსმენები არ დაუშვეს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„კრემლს თუ მიეცა შესაძლებლობა, უკრაინას დაანაწევრებს, სატელიტ ქვეყნად გადააქცევს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„ყოველი ერი პასუხისმგებელია არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვა ერებისა და მთელი კაცობრიობის წინაშეც პასუხისმგებელია საერთო საკაცობრიო მომავლის წინაშე, ამიტომ მთელი კაცობრიობაც პასუხს უნდა აგებდეს თითოეული ერის ბედზე“ - აღნიშნავდა დიდი ქართველი მწერალი თამაზ ჭილაძე. ამ სიტყვებმა ახლა მეტი დატვირთვა შეიძინა, მით უფრო ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე. თუ თვალს გადავავლებთ თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებულ მოვლენებს, დავრწმუნდებით, რომ რუსეთი არღვევს სხვადასხვა ქვეყნის უფლებებს და ხშირ შემთხვევაში, იგნორირებს მეზობელი სახელმწიფოების ნაციონალურ ინტერესებს, არის ეთნოწმენდის, გენოციდის შემთხვევები, ამ მხრივ ყველაზე მეტად ქართველები, ჩრდილოკავკასიელები და უკრაინელები დაზარალდნენ... როგორც ცნობილია, მთელი მსოფლიო გმობს რუსეთის ინტერვენციას უკრაინაში, რისთვისაც დაუწესდა სანქციები, ამავე დროს უკრაინას მკაფიო მხარდაჭერა გამოუცხადეს, მაგალითად, რუსულ პროპაგანდას დასავლეთი და უკრაინა ქმედითად ებრძვის... სწორედ ამ საჭირბოროტო საკითხებზე თავის მოსაზრებას გვიზიარებს პოლიტოლოგი **გელა ირემაძე**.

- რა მიზანს ისახავს რუსეთი უკრაინასთან მიმართებით, რა სურს მას, სატელიტი ქვეყანა თუ მარტივ მამრავლებად დაშლილი უკრაინა?

- ცალსახად უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთი აგრესორი ქვეყანაა და მსოფლიო თანამეგობრობამ უნდა აიძულოს საომარი მოქმედებების შეჩერება, კრემლს თუ მიეცემა საშუალება, უკრაინას დაანაწევრებს, სატელიტ ქვეყნად გადააქცევს. ამიტომ თუ ახლა არ შეაჩერებენ, საფრთხე უკვე ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც დაემუქრება, მოსკოვში ამას არც მალავენ.

- დაწესებული სანქციები რამდენად შედეგიანია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში?

- უნდა გითხრათ, რომ სანქციები მუშაობს, რუსეთმა უკვე ათეულობით მილიარდი დოლარი იზარალა და ეს მხოლოდ დასაწყისია. იგი არ მოელოდა მსოფლიოს ამგვარ ერთიანობას მასთან მიმართებით, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დასავლეთმა მკაფიოდ გაილაშქრა რუსულ პროპაგანდასთან დაკავშირებით. ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

- როგორც ცნობილია, რუსეთი დიდი ხანია აწარმოებს პროპაგანდისტულ ომს მსოფლიოში, უკრაინის ომამდე კრემლი თავის მიზანს აღწევდა ინფორმაციული ომით, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ რუსულ პროპაგანდას მსოფლიო უპირისპირდება.

- ალბათ ხედავთ, რომ საინფორმაციო ომში რუსეთი მარცხდება, მთელმა მსოფლიომ დაინახა რუსეთის იმპერიული სულისკვეთება, თუმცა თავის მოსახლეობას ჯერჯერობით წამლავს პროიმპერიული ნარატივებით. საერთოდ, ძალადობა, ცბიერება და თვალთმაქცობა რომ გამოარჩევს რუსეთს სხვა დანარჩენი ქვეყნებისგან, ეს აშკარაა, რასაც ცხადყოფს თავად რუსეთის ქმედებები. მაგალითად, თუ რა უბედურება დაატეხა რუსეთმა ქართველებს, უკრაინელებს და რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩრდილოკავკასიელებზე, ეს ცნობილი, ფაქტია... წარსული უნდა გავიხსენოთ, რომ ისტორიული მახსოვრობა არ დავკარგოთ.

- რას გულისხმობთ?

- როგორც ცნობილია, ცარისტულმა და ბოლშევიკურმა რუსეთმა დაახლოებით მილიონამდე ჩერქეზი გაჟლიტა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ყუბანის მხარეს მიუერთა. ცხადია, გენოციდის ამ ფაქტს რუსები უარყოფენ, თუმცა ისტორიული დოკუმენტები საპირისპიროს ამტკიცებს. რუსეთი როგორღაც ახერხებს თავის დაძვრენას, თუნდაც რად ღირს ჩეჩნეთის ომი. ამ ომში როგორც ამბობენ, ათიათასობით ადამიანი დაიღუპა, ამჟამად კი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს უკრაინაში. თავად მოსკოვი ცინიკურად აცხადებს, რომ ის ათავისუფლებს უკრაინას და არავითარ ეთნოწმენდას, გენოციდს არ ახორციელებს უკრაინის მიმართებით, რაც რუსეთისგან არ არის მოულოდნელი, ის არასდროს აღიარებს თავის დანაშაულს.

> *„ ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები, რამაც შედეგი ნაწილობრივ გამოიღო, რუსეთის ეკონომიკა არასახარბიელო მდგომარეობაშია, თუმცა ამ სანქციებს გრძელვადიანი პერიოდი სჭირდება, ანუ თუ დასავლეთი კიდევ უფრო მკვეთრ ნაბიჯებს გადადგამს რუსეთის მიმართ, რაც გულისხმობს რუსულ გაზზე და ნავთობზე უარის თქმას, ეს რუსეთს უფრო დააზარალებს, ვიდრე დასავლეთს*

- სამაგიეროდ, რუსეთისგან გვესმის ბრალდებები, თითქოს ქართველებმა 2008 წლის აგვისტოში განახორციელეს ოსების გენოციდი, თქვენი აზრი ამის შესახებ?

- რუსუთის ამგვარი ბრალდებები უსაფუძვლოა. ჯერ ერთი, მართლა რომ მომხდარიყო ოსების გენოციდი, ამის დამალვა შეუძლებელი იქნებოდა, მეორეც, ჰააგის სასამართლომ და მანამდე ტალიავინის კომისიამ ცალსახად დაასკვნა, რომ პირიქით, ქართველთა ეთნოწმენდა მოხდა, რისი ინიციატორი რუსეთი იყო, აი, მაშინ დასავლეთი უფრო პრინციპული რომ ყოფილიყო რუსეთის მიმართ, უკრაინის კრიზისი, სავარაუდოდ, არ მოხდებოდა. სამწუხაროდ, მაშინ დასავლეთმა გადაწყვიტა, სირაქლემასავით თავი სილაში ჩაეფლო.

- და რა შედეგი მიიღო?

- თითქმის არანაირი. არადა, ევროპას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი მედვედევი მეტ-ნაკლებად ლიბერალიზმს გამოიჩენდა, გაატარებდა რეფორმებს ქვეყანაში და შეეგუებოდა „მოძმე“ რესპუბლიკის არჩევანს, მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რუსეთის პრეზიდენტი კვლავ პუტინი გახდა. ზეწოლა განახორციელა არასამთავრობო სექტორზე, დასავლეთი მტრად გამოაცხადა, ყოველივე ამას დასავლელი ლიდერები, ასე ვთქვათ, ეგუებოდნენ.

- ყირიმის ანექსიამ და ამჟამად რუსეთის აგრესიამ უკრაინის მიმართ მსოფლიო სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა, - აცხადებენ ანალიტიკოსები.

- დიახ, მსოფლიო თანამეგობრობა გამოფხიზლდა, თუ რუსეთის მიმართ არ განახორციელდება მძლავრი ზეწოლა, მაშინ, როგორც ვთქვი, თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებათ. ამიტომაც ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები, რამაც შედეგი ნაწილობრივ გამოიღო, რუსეთის ეკონომიკა არასახარბიელო მდგომარეობაშია, თუმცა ამ სანქციებს გრძელვადიანი პერიოდი სჭირდება, ანუ თუ დასავლეთი კიდევ უფრო მკვეთრ ნაბიჯებს გადადგამს რუსეთის მიმართ, რაც გულისხმობს რუსულ გაზზე და ნავთობზე უარის თქმას, ეს რუსეთს უფრო დააზარალებს, ვიდრე დასავლეთს.

- რუსეთი მაინც ემუქრება დასავლეთს, რას ფიქრობთ?

- დასავლეთის სახელმწიფოებთან ღია კონკურენციაში რუსეთი აშკარად დამარცხდება. ეკონომიკური კრახის წინაშე მდგომ რუსეთს პოლიტიკური სტაბილურობისთვის, მოჩვენებითი დიდების შესანარჩუნებლად და ეკონომიკური სიდუხჭირის გასამართლებლად, შიდა მოხმარების მითი სჭირდება, ანუ მტრის ხატი: ამ მხრივ ნატო უპირველესი „მტერია“, არადა რუსეთს არავინ ესხმის თავს. პირიქით, ეს ქვეყანა ახორციელებს აგრესიას მეზობლების მიმართ.

- რუსეთის თვალთმაქცობა საყოველთაოდ ცნობილია. აცხადებენ, რომ საქართველოს ნატოში მაინც არავინ მიიღებს, რას ფიქრობთ?

- ჯერ ერთი, რუსეთმა იცის, რომ სინამდვილეში ნატო კი არ უქმნის საფრთხეს რუსეთს, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ იცავს მის საზღვრებს. დიახ, ასეა, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ. კერძოდ, რუსეთი ესაზღვრება ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რომლებიც ნატოს წევრები არიან. სწორედ ამ ქვეყნებთან აქვს მოწესრიგებული საზღვრი რუსეთს. ამ უკანასკნელმა ეს იცის. უბრალოდ, კრემლში ვარაუდობენ, რომ შეძლებენ ქართულ მოსახლეობაში ანტიდასავლური რიტორიკის გაღვივებას, ფიქრობენ, რომ ეს შეაფერხებს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. ახლა რაც შეეხება თქვენს კითხვას: თუ ჩვენი ქვეყანა ვერ გახდება ნატოს წევრი, მაშინ იგი რუსეთის პირისპირ აღმოჩნდება, მის ინტერესებში კი, მოგეხსენებათ, საქართველოს მსოფლიო გეოპოლიტიკაში ჩართულობა არ შედის. ამ მხრივ ჩვენმა ხელისუფლებამ სათანადო ზომები უნდა მიიღოს, რათა რუსეთმა ვერ შეძლოს თავისი მიზნების მიღწევა საქართველოსთან დაკავშირებით.

G7 უარს აცხადებს...

„დიდმა შვიდეულმა“ უარი უთხრა მოსკოვის მოთხოვნას გაზის მხოლოდ რუსულ ვალუტაში შესყიდვაზე, - აღნიშნული განცხადება გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა რობერტ ჰაბეკმა გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, „დიდი შვიდეულის“ ყველა მინისტრი ერთსულოვანი იყო, რომ ეს არის არსებული ხელშეკრულებების ცალმხრივი და აშკარა დარღვევა.

„რუბლით გადახდა მიუღებელია და ჩვენ მოვუწოდებთ დაზარალებულ კომპანიებს, არ დაემორჩილონ პუტინის მოთხოვნას“, - აღნიშნა ჰაბეკმა.

გერმანიის ეკონომიკის მინისტრის საპასუხოდ, ფედერაციის საბჭოს ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ივან აბრამოვმა აღნიშნა, რომ „დიდი შვიდეულის უარი აუცილებლად გამოიწვევს გაზის მიწოდების შეწყვეტას“.

შეგახსენებთ: გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „არამეგობრულ“ ქვეყნებს ნავთობისა და გაზის საფასურის რუბლში გადახდა მოსთხოვა.

„დიდი შვიდეული“ მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკის ქვეყნებს წარმოადგენენ, რომელშიც კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები შედის. თითოეული მათგანი რუსეთის მიერ „არამეგობრული ქვეყნების სიაშია“ შეყვანილი.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ თავის უკრაინელ კოლეგა დმიტრო კულებას ტელეფონით ესაუბრა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ორი ქვეყნის პირველმა დიპლომატებმა უკრაინაში არსებულ ვითარებასა და სტამბოლში უკრაინისა და რუსეთის დელეგაციებს შორის დაგეგმილ მოლაპარაკებებზე გაამახვილეს ყურადღება. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გუშინ ვიდეომიმართვისას განაცხადა, რომ როგორც მას მოახსენეს, არსებობს შესაძლებლობა და საჭიროება პირისპირ შეხვედრის და ეს ცუდი არ არის. „ვნახოთ რა შედეგს მოიტანს“, - აღნიშნა ზელენსკიმ. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გუშინ სატელეფონო საუბარში შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებებს თურქეთი უმასპინძლებდა. ოფიციალური ანკარა იმედოვნებს, რომ მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტით დასრულდება.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა „სი-ენ-ენთან“ საუბრისას განაცხადა, რომ მას რუსეთში რეჟიმის შეცვლის მოწოდება არ გაუკეთებია. „ვარშავაში ვიზიტისას აშშ-ის პირველმა პირმა თქვა, რომ ხელისუფლებაში პუტინის დატოვება არ შეიძლება, რაც ჟურნალისტებმა და საზოგადოებამ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ცვლილებისკენ მოწოდებად მიიჩნიეს“, - აღნიშნავს უკრაინული გამოცემა. „პრეზიდენტის მოსაზრება მდგომარეობდა იმაში, რომ პუტინს არ უნდა მიეცეს მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონში თავისი ხელისუფლების განხორციელების უფლება“, - განმარტეს თეთრ სახლში. რაც შეეხება მოსკოვის პოზიციას, კრემლში განაცხადეს, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა დამოუკიდებლად უნდა აირჩიონ ქვეყნის ხელისუფლება.

* * *

უცხოელი დიპლომატები უკრაინის დედაქალაქში ბრუნდებიან. სააგენტო „უნიანის“ ინფორმაციით, მსგავსი გადაწყვეტილება უკვე მიიღო სლოვენიამ, რომელმაც ქვეყნის დროებითი რწმუნებული უკვე გაგზავნა კიევში. „ქალაქი ცარიელია. შორიდან ისმის განგაშის სიგნალები და აფეთქებების ხმა, მაგრამ გარდა ამისა, დედაქალაქში დარჩენილთა ცხოვრება ნორმალურად გრძელდება“, - განაცხადა ბოშტიან ლესიაკმა კიევში ჩასვლის შემდეგ. სლოვენიის პრემიერ-მინისტრმა თავისი ქვეყნის დიპლომატების კიევში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება ერთი კვირის წინ დააანონსა. სლოვენიამ ანალოგიური ნაბიჯისკენ ევროკავშირის სხვა ქვეყნებსაც მოუწოდა.

* * *

სამხრეთ კორეამ რუსეთის ფედერაციასა და ბელარუსში ექსპორტზე შეზღუდვები დააწესა. საუბარია 57 სახეობის არასტრატეგიული საქონლის მიწოდების შეწყვეტაზე. სამხრეთ კორეის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ლი იოგ ვონის თქმით, ქვეყანა აძლიერებს ექსპორტის კონტროლს რუსეთისა და ბელარუსისთვის არასტრატეგიული საქონლისა და ტექნოლოგიების მიწოდების აკრძალვით, რაც უპირველესად, ეხება ნახევარგამტარებს, ჩიპებს, მიკროსქემებსა და კომპიუტერებს.

მოამზადა
ია შველიძემ

„მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია მშვიდობიანი მოსახლეობის სამიზნედ ქცევა“

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) ცნობით, ომის დაწყებიდან ერთი თვის შედეგებით, უკრაინელთა ოჯახების 45%-ს საკვების მოპოვების პრობლემა აწუხებს: „ყოველი მეხუთე იძულებულია, მიმართოს შიმშილის დაძლევის სხვადასხვა ხერხს, მათ შორის - ამცირებს მიღებული საკვების ულუფას, ანდა იშვიათად იღებს საკვებს. ზრდასრული ადამიანები ამცირებენ საკვების მიღებას იმისთვის, რომ მეტი შეხვდეთ ბავშვებს“

გაეროს მსოფლიო სურსათის პროგრამის (WFP) მიერ ტვიტერით გავრცელებული ცნობით, ყველაფერი კეთდება, რომ ორგანიზაცია „მისწვდეს 3 მილიონზე მეტ ადამიანს უკრაინაში და ასევე დაეხმაროს ლტოლვილებსა და იმ ოჯახებს, რომლებმაც ისინი შეიფარეს“.

გენერალური მდივნის ანტონიუ გუტერეშის მიერ გამოქვეყნებული ბოლო ინფორმაციით, გაერომ გადაუდებელი დახმარება გაუწია 700 000 ოჯახს უკრაინაში და კვლავაც ფართოვდება დახმარების მასშტაბები...

თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და საომარ მოქმედებებს აწარმოებს. რუსეთის არმია დაუნდობლად უტევს მშვიდობიან მოქალაქეებს, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებს. მი-

თებულიყო, რაც ახლა, მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროების წინაშე არ დადგებოდა.

- თქვენ გაქვთ კონტაქტები უკრაინელებთან. როგორი განწყობაა ხალხში?

- ორნაირი. ნურავინ შეიქმნის ილუზიას, რომ ყველა რუსეთის წინააღმდეგია, რადგან უკრაინაში ძალიან დიდი რაოდენობის რუსულენოვანი მოსახლეობაა, რომელსაც არ სურს ომი საკუთარ ხალხთან. თანაც, იქაური პოლიტიკური ისტებლიშმენტი საკმაოდ ბევრს არ მოსწონს და ახლა ხელზე აქვთ დახვეული ამხელა მსხვერპლი და ინფრასტრუქტურული ზარალი. ერთია ურა-პატრიოტიზმი, რომელსაც ყველა ტელეარხი გადმოსცემს ლურჯ-ყვითელი ფერების ფონზე და მეორე - რეალობა, რომელიც იქ სუფევს და უამრავი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლეს იწირავს. ომი არის შიმშილი, სიკვდილი, ტკივილი, შეურაცხყოფა, არაადამიანურობა... როგორ შეიძლება, ეს ვინმეს მოსწონდეს? შენს თვალწინ ვარდება ბომბები, გენგრევა სახლი, გეღუპება უახლოესი ადამიანები... ძნელია, ამ ტკივილის გაძლება.

- ქალები და ბავშვები რატომ არ გამოდიან?

- უკრაინის ტერიტორიის დატოვების უფლება არ აქვთ კაცებს, რომლებიც იბრძვიან ან შესაძლოა ჩაერთონ საბრძოლო მოქმედებებში, ცოლები კი მათ არ ტოვებენ. თანაც ზოგან ისეთი ვითარებაა, რომ ვერ გამოდიან - რუსეთის ჯარს გადაკეტილი აქვს ქალაქებიდან გასასვლელები.

- თქვენ ამბობთ, რომ ბევრია ომის წინააღმდეგი, მაგრამ უკრაინელები საკმაოდ მხურვალე, პატრიოტულ მოწოდებებს ავრცელებენ.

- ეს ახალგაზრდა თაობაა, რომელიც თავისუფალ, დემოკრატიულ გარემოშია აღზრდილი და საამაყოდაც კი მიაჩნია სამშობლოსთვის თავის გაწირვა, ომის მოწინააღმდეგეები კი საბჭოური მენტალიტეტის ადამიანები არიან. უფროსი თაობა არ თვლის ამ ომს გამოსავლად და არ უჭერს მხარს ნატოს მიერ წაქეზებული ზელენსკის მაქსიმალიზმს. ვერ გეტყვით სტატისტიკას, მაგრამ ფაქტია, რომ მოსახლეობის პოზიცია გაორებულია, უფრო სწორად - გასამებული.

- მესამე რომელია?

- მასში მოვიაზრებ ნეიტრალურად განწყობილ ადამიანებს, ოქროს შუალედს, რომლებიც თავს იკავებენ საკუთარი პოზიციის გამოხატვისგან. ისინი ხან ერთს უსმენენ, ხან მეორეს და არც ერთს არ ემხრობიან, თავის გადარჩენის ინსტიქტს უფრო ემორჩილებიან, მაგრამ რომელიმეს ამ სამიდან ომი მოსწონდეს, არ მგონია. რაც ახლა იქ ხდება, სრული ჯოჯოხეთია, რომელიც პუტინის აგრესიამ დაატრიალა.

- ახლა უკვე ზელენსკი თანახმაა ნეიტრალიტეტზე. თავის დროზე რომ დათანხმებულიყო, ამდენი ხალხი ხომ არ დაიღუპებოდა?

- ჩემი აზრით, ზელენსკის ძალიან ცუდი მრჩევლები ჰყავდა და კიდევ უფრო ცუდი - გარემოცვა. მასზე ბევრი იყო დამოკიდებული, თუმცა იმდენად ზედაპირულად მოიქცა, ისე იოლად გაწირა საკუთარი ხალხი, რომელიც ენდო და პრეზიდენტად აირჩია, რომ აღარც ვიცი. რა ვთქვა. ერისკაცობა მხოლოდ ხმამაღალი სიტყვები ხომ არ არის? ყველამ კარგად ვიცით, ვინ არის პუტინი, ის კიდევ უფრო უკეთ ვიცით, რას წარმოადგენს რუსეთი. ზელენსკიმ ეს თუ არ იცოდა, რატომ არ აუხსნეს, რატომ არ გააჩერეს, ასეთ ნაბიჯს რომ დგამდა და მშვიდობიან ცხოვრებასთან დამაკავშირებელ ხიდებს წვავდა?

- რას ფიქრობთ, რა უნდა ექნა?

- რასაც ვლაპარაკობ, ჩემი სუბიექტიური აზრია, შეიძლება მიღებულ თვალსაზრისზე ცოტათი განსხვავებული, რაც არ ნიშნავს, რომ არ ვეთანხმები დემოკრატიული ფასეულობების, სახელმწიფოს თავისუფლების და სუვერენიტეტის დაცვას, მაგრამ როდესაც პასუხისმგებლობა გაკისრია ერის და ღვთის წინაშე, ყოველმხრივ უნდა ეცადო, საკუთარ ხალხს სისხლისღვრა ააცილო. კარგად ვიცით, რას ნიშნავს მოკლული ბიჭები, აოხრებული ქალაქები, დანგრეული, მიწასთან გასწორებული სოფლები... დიპლომატია უნდა ეხმარა უკრაინის მთავრობას, სახალხო დიპლომატია. სხვადასხვა დონეზე უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები. ალბათ, შეიტყუეს, ასე ჩანს გარედან. ახლა პრეზიდენტია და როგორ უნდა ვასწავლო ჭკუა, მაგრამ აქედან ამ გაუმართლებელ ომს სხვა ახსნას ვერ მოუძებნი. ზელენსკიმ თავად აღიარა, რომ ნატომ იმედი გაუცრუა. რამდენჯერ

> ***„რასაც ვლაპარაკობ, ჩემი სუბიექტიური აზრია, შეიძლება მიღებულ თვალსაზრისზე ცოტათი განსხვავებული, რაც არ ნიშნავს, რომ არ ვეთანხმები დემოკრატიული ფასეულობების, სახელმწიფოს თავისუფლების და სუვერენიტეტის დაცვას, მაგრამ როდესაც პასუხისმგებლობა გაკისრია ერის და ღვთის წინაშე, ყოველმხრივ უნდა ეცადო, საკუთარ ხალხს სისხლისღვრა ააცილო***

ლიონობით ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა.

*ამ და სხვა საკითხებზე გთავაზობთ ინტერვიუს ყოფილ პარლამენტართან, პოლიტიკოს **სვეტლანა კუდგასთან,** რომელიც აქტიურად მუშაობს სახალხო დიპლომატიის გამოყენებით აფხაზ ხალხთან დაახლოებისთვის.*

- ქალბატონო სვეტლანა, როგორც ვიცი, რადაც ეტაპზე სახალხო დიპლომატიის კუთხით მუშაობა შენელდა.

- სახალხო დიპლომატია ძველებურად მუშაობს. პანდემიის გამო ძალიან შეიზღუდა რიგი ღონისძიებები და შეხვედრები, რომელსაც ვახორციელებდით მანამდე. დარწმუნებულ ვარ, მალე პანდემია მიილევა და ამ მიმართულებით ისევ გავაქტიურდებით, რადგან საქართველო არასდროს დაკარგავს კონტაქტებს საკუთარ აფხაზ ძმებთან. ახლა მოქმედებს აფხაზი მოსახლეობის უფასო მკურნალობის პროგრამა, მათთვის გამიზნული ეფექტური სოციალური პროგრამები და სხვა.

- როგორც ვიცი, ნათესავები გყავთ უკრაინაში.

- კი, დედა მყავდა უკრაინელი. ჩემი დეიდაშვილ-ბიძაშვილები ახლა იქ იმყოფებიან და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვარ. ჩემი მეუღლის - ანზორ კუდბას ძმისშვილი კიევში ცხოვრობდა, ახლა დატოვა იქაურობა დაბომბვების გამო და პოლონეთში გადავიდა. საშინელი ვითარებაა, არავინ იცის, როდის დასრულდება ეს შემზარავი ომი და როდის მოეღება ბოლო პუტინის და მისი დამქაშების აგრესიას. ვინ იფიქრებდა, რომ 21-ე საუკუნეში ასეთი ომის მომსწრე გავხდებოდით.

- სწორედ 21-ე საუკუნეში დაიწყო რუსეთმა აგრესიული ქმედებები.

- დიახ, ჩვენთანაც იყო ომი 2008 წელს, მაგრამ ასეთი სრულმასშტაბიანი არა, რადგან არავინ დაგვიდგა მხარში რეალურად. მაშინ რომ აპატიეს რუსეთს, იმიტომ გაბედა შემდეგ ყირიმის აღება, დონეცკის და ლუგანსკის ოლქების სახალხო რესპუბლიკებად გამოცხადება და თავად უკრაინის სუვერენიტეტის ხელყოფა. მოინდომა ყველაფერი ერთად და სწრაფად. ეს იმიტომ, თავის დროზე რომ არ დაისაჯა საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებისთვის. მაშინ ჩვენთან უამრავი ახალგაზრდა დაიხოცა, იყო მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაშიც, მაგრამ მხოლოდ აღშფოთებით შემოიფარგლა დასავლეთი. მართალია, თანხით დაგვეხმარნენ, მაგრამ, რუსეთს არც კი მოსთხოვეს პასუხი. პირიქით, ჩვენზე შეიტანა რუსეთმა უამრავი სარჩელი ომის მიმდინარეობის დროს, თითქოსდა ადამიანთა უფლებების დარღვევების გამო. თავის დროზე იმის მესამედიც რომ გაკეთებულიყო, რაც ახლა, მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროების წინაშე არ დადგებოდა.

- თქვენ გაქვთ კონტაქტები უკრაინელებთან. როგორი განწყობაა ხალხში?

- ორნაირი. ნურავინ შეიქმნის ილუზიას, რომ ყველა რუსეთის წინააღმდეგია, რადგან უკრაინაში ძალიან დიდი რაოდენობის რუსულენოვანი მოსახლეობაა, რომელსაც არ სურს ომი საკუთარ ხალხთან. თანაც, იქაური პოლიტიკური ისტებლიშმენტი საკმაოდ ბევრს არ მოსწონს და ახლა ხელზე აქვთ დახვეული ამხელა მსხვერპლი და ინფრასტრუქტურული ზარალი. ერთია ურა-პატრიოტიზმი, რომელსაც ყველა ტელეარხი გადმოსცემს ლურჯ-ყვითელი ფერების ფონზე და მეორე - რეალობა, რომელიც იქ სუფევს და უამრავი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლეს იწირავს. ომი არის შიმშილი, სიკვდილი, ტკივილი, შეურაცხყოფა, არაადამიანურობა... როგორ შეიძლება, ეს ვინმეს მოსწონდეს? შენს თვალწინ ვარდება ბომბები, გენგრევა სახლი, გეღუპება უახლოესი ადამიანები... ძნელია, ამ ტკივილის გაძლება.

- ქალები და ბავშვები რატომ არ გამოდიან?

- უკრაინის ტერიტორიის დატოვების უფლება არ აქვთ კაცებს, რომლებიც იბრძვიან ან შესაძლოა ჩაერთონ საბრძოლო მოქმედებებში, ცოლები კი მათ არ ტოვებენ. თანაც ზოგან ისეთი ვითარებაა, რომ ვერ გამოდიან - რუსეთის ჯარს გადაკეტილი აქვს ქალაქებიდან გასასვლელები.

- თქვენ ამბობთ, რომ ბევრია ომის წინააღმდეგი, მაგრამ უკრაინელები საკმაოდ მხურვალე, პატრიოტულ მოწოდებებს ავრცელებენ.

- ეს ახალგაზრდა თაობაა, რომელიც თავისუფალ, დემოკრატიულ გარემოშია აღზრდილი და საამაყოდაც კი მიაჩნია სამშობლოსთვის თავის გაწირვა, ომის მოწინააღმდეგეები კი საბჭოური მენტალიტეტის ადამიანები არიან. უფროსი თაობა არ თვლის ამ ომს გამოსავლად და არ უჭერს მხარს ნატოს მიერ წაქეზებული ზელენსკის მაქსიმალიზმს. ვერ გეტყვით სტატისტიკას, მაგრამ ფაქტია, რომ მოსახლეობის პოზიცია გაორებულია, უფრო სწორად - გასამებული.

- მესამე რომელია?

- მასში მოვიაზრებ ნეიტრალურად განწყობილ ადამიანებს, ოქროს შუალედს, რომლებიც თავს იკავებენ საკუთარი პოზიციის გამოხატვისგან. ისინი ხან ერთს უსმენენ, ხან მეორეს და არც ერთს არ ემხრობიან, თავის გადარჩენის ინსტიქტს უფრო ემორჩილებიან, მაგრამ რომელიმეს ამ სამიდან ომი მოსწონდეს, არ მგონია. რაც ახლა იქ ხდება, სრული ჯოჯოხეთია, რომელიც პუტინის აგრესიამ დაატრიალა.

- ახლა უკვე ზელენსკი თანახმაა ნეიტრალიტეტზე. თავის დროზე რომ დათანხმებულიყო, ამდენი ხალხი ხომ არ დაიღუპებოდა?

- ჩემი აზრით, ზელენსკის ძალიან ცუდი მრჩევლები ჰყავდა და კიდევ უფრო ცუდი - გარემოცვა. მასზე ბევრი იყო დამოკიდებული, თუმცა იმდენად ზედაპირულად მოიქცა, ისე იოლად გაწირა საკუთარი ხალხი, რომელიც ენდო და პრეზიდენტად აირჩია, რომ აღარც ვიცი. რა ვთქვა. ერისკაცობა მხოლოდ ხმამაღალი სიტყვები ხომ არ არის? ყველამ კარგად ვიცით, ვინ არის პუტინი, ის კიდევ უფრო უკეთ ვიცით, რას წარმოადგენს რუსეთი. ზელენსკიმ ეს თუ არ იცოდა, რატომ არ აუხსნეს, რატომ არ გააჩერეს, ასეთ ნაბიჯს რომ დგამდა და მშვიდობიან ცხოვრებასთან დამაკავშირებელ ხიდებს წვავდა?

- რას ფიქრობთ, რა უნდა ექნა?

- რასაც ვლაპარაკობ, ჩემი სუბიექტიური აზრია, შეიძლება მიღებულ თვალსაზრისზე ცოტათი განსხვავებული, რაც არ ნიშნავს, რომ არ ვეთანხმები დემოკრატიული ფასეულობების, სახელმწიფოს თავისუფლების და სუვერენიტეტის დაცვას, მაგრამ როდესაც პასუხისმგებლობა გაკისრია ერის და ღვთის წინაშე, ყოველმხრივ უნდა ეცადო, საკუთარ ხალხს სისხლისღვრა ააცილო. კარგად ვიცით, რას ნიშნავს მოკლული ბიჭები, აოხრებული ქალაქები, დანგრეული, მიწასთან გასწორებული სოფლები... დიპლომატია უნდა ეხმარა უკრაინის მთავრობას, სახალხო დიპლომატია. სხვადასხვა დონეზე უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები. ალბათ, შეიტყუეს, ასე ჩანს გარედან. ახლა პრეზიდენტია და როგორ უნდა ვასწავლო ჭკუა, მაგრამ აქედან ამ გაუმართლებელ ომს სხვა ახსნას ვერ მოუძებნი. ზელენსკიმ თავად აღიარა, რომ ნატომ იმედი გაუცრუა. რამდენჯერ მიმართა ევროპას, ჩაეკეტათ ცა, მაგრამ ისინი აცხადებენ, რომ არ სურთ მესამე მსოფლიო ომის წამოწყება და ვერ ეხმარებიან უკრაინას ცოცხალი ძალით და ცის გადაკეტვით. მას რომ არ ჰქონოდა დასავლეთის იმედი, ვფიქრობ, არ წავიდოდა ომზე.

- ექსპერტების დიდი ნაწილი თვლის, რომ მიმდინარეობს გეოპოლიტიკური გადანაწილება და ნატომ რუსეთის დასასუსტებლად უკრაინა გამოიყენა.

- სწორედ ასე ჩანს, სხვისი ხელით ნაკვერჩხლის აღება მოისურვა ამერიკამ და ის ვეღარ განსაზღვრა, რომ ევროპას, მთელ კაცობრიობას ემუქრება ამ ეტაპზე რეალური საფრთხე. ახლა გავლენის სფეროების გადანაწილება მიმდინარეობს და ჩვენი ქვეყნები მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ ძლიერი სახელმწიფოებისთვის. იმდენი სხვადასხვა საკითხია მოსაგვარებელი, რაც შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს და თითქოს ამ კონფლიქტთანაც არაფერ კავშირშია, რომ ვერ ჩამოგითვლით. ახლა მსოფლიო პოლიტიკა სრულიად სხვა დონეზე წყდება, რაც რიგითი ადამიანისთვის მიუწვდომელია. ამიტომ ვამბობ, მთავარია, ომი შეწყდეს და დასრულდეს ეს გაუთავებელი ტრაგედია, უკვე ერთი თვის განმავლობაში რომ ტრიალებს. დღეს სასწორზე დევს პრინციპები, ღირებულებები, ცხოვრების წესი, ის, რასაც ვაშენებთ ბოლო 30 წელია და რითაც იზრდებოდა ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი ქვეყანა, რითაც ვითარდებოდა ჩვენი საზოგადოება.

- საქართველოს მთავრობის პოზიციაზე რას იტყვით?

- ძალიან გონივრულად და მიზანმიმართულად იქცევა. ყველა ნაბიჯი გათვლილი აქვს ღარიბაშვილს და ცდილობს, კაცობრიობისთვის ამ ურთულეს პერიოდში საკუთარ ქვეყანას ააცილოს ომის მოსალოდნელი საფრთხე. იმდენად საინტერესო, მოქნილ საგარეო პოლიტიკას ატარებს, რომ განაიარადა პუტინიც კი და რუსეთში მოქმედ ანტიქართულ ძალებს არ მისცა საქართველოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვის არც ერთი საბაბი.

- კარგად იცით, რომ სწორედ ამის გამო აუმხედრდა მას ოპოზიცია.

- რას ამბობთ, ახლა აუმხედრდა და მანამდე მხარს უჭერდა? რაც „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდა, მას შემდეგ ებრძვიან „ნაციონალები“ და არასოდეს ჰქონდათ ადეკვატური დამოკიდებულება. ახლაც ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ - ისარგებლონ უკრაინის ომით და საქართველო ანალოგიურ კონფლიქტში ჩაითრიონ. აქაც ერთადერთი მიზანი აქვთ - ჩამოაგდონ არსებული ხელისუფლება და თავად მოექცნენ სათავეში, შემდეგ კი, ალბათ, კვლავ მისცემენ რუსებს ქართულ ტერიტორიებს და დაამკვიდრებენ საკუთარ მმართველობას. დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთხელ თუ მოვიდნენ მთავრობაში, ვეღარ მოვერევით, რადგან სრულ დიქტატურას დაამყარებენ. მართლა სურთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ჩვენი ომში ჩათრევა, მაგრამ არ გამოუვათ. მე ნაციონალებს კასტას ვეძახი. ასე როგორ სძულთ ადამიანები, ქართველები, მშვიდობა და დემოკრატია, არ ვიცი. მეგონა, შეიცვლებოდნენ, შეხედულებებს გადააფასებდნენ, მაგრამ არაფერი ეშველათ - ფაქტია!

- ამბობენ, კოალიციურ მთავრობას ჩამოაყალიბებენ...

- ეს მხოლოდ ახლა ამბობენ ასე, რომ პატარ-პატარა, მათ სატელიტებად ქცეული პარტიები გააბითურონ და დამატებით ხმები აიღონ, საკუთარი ხმარდამჭერები მოაკლდათ, არ მომატებიათ. ეგონათ, ჩამობრძანდებოდა მათი ყოფილი პრეზიდენტი საქართველოში და ყველა თვითმმართველობის ორგანო ოპოზიციით დაკომპლექტდებოდა. არაფერი გამოუვიდათ, მიშა ციხეში აღმოჩნდა, ისინი კი აქამდე ცდილობენ საკუთარი ხაზი გაატარონ, რომელიც აშკარად გადის საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვაზე.

- მათი განცხადებით, საქართველო მხარს არ უჭერს უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

- რატომ?! ჰუმანიტარულ ტვირთებს ვაგზავნით, ჩვენი მეომრები იღუპებიან უკრაინის მიწაზე, უკრაინის სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში. საქართველო იმ რეზოლუციის ინიციატორიცაა, გაეროში, 141-მა სახელმწიფომ რომ მიიღო რუსეთის აგრესიის დასაგმობად. ჩვენი ქვეყანა ძალიან მკაფიო გზავნილის თანაავტორია, რომ მსოფლიოს უდიდესი უმრავლესობა არ უჭერს მხარს სუვერენულ სახელმწიფოში ასეთ შეჭრას. აქვე ვამტკიცებთ, მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია მშვიდობიანი მოსახლეობის სამიზნედ ქცევა, ქალაქების დაბომბვა, განადგურება და ძალის უსაფუძვლოდ გამოყენება, ანუ ყველაფერს ვაკეთებთ პუტინის აგრესიის შესაჩერებლად და საქართველოს დასაცავად. წინ ურთულესი დღეები გველის, არავინ იცის, რა მოხდება. მთავარია, რწმენა არ დავკარგოთ, ერთად დავდგეთ ომის დასრულებისა და მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისთვის.

რუსეთი არ ცდილობს უკრაინის მთავრობის შეცვლას სპეციალური სამხედრო ოპერაციით (?!)

„ინტერფაქსის“ ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა. რუსი მაღალჩინოსნის თქმით, დასავლეთის განცხადებები, რომ რუსეთის მიზანი უკრაინის მთავრობის შეცვლაა, არაზუსტია. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ეს კომენტარი მას შემდეგ გააკეთა, რაც რამდენიმე დღის წინ ოფიციალურმა მოსკოვმა მიანიშნა, რომ შესაძლოა, უარი თქვას უკრაინაში სრული შეჭრის გეგმებზე, არადა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შეჭრის ადრეულ ეტაპებზე რამდენიმე განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ რუსული სამხედრო კამპანიის მიზანი უკრაინის „დენაციფიკაცია“ იყო, რაც ფართოდ განიხილებოდა როგორც რეჟიმის შეცვლის მცდელობა.

დედაქალაქ კიევის ირგვლივ დამარცხებისა და უკრაინის სამხრეთ სანაპიროზე პორტების დაკავების წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, ოფიციალურმა მოსკოვმა წინა კვირას განაცხადა, რომ ის „ძირითად ძალისხმევას მთავარი მიზნის - დონბასის გათავისუფლებისკენ“ მიმართავს.

ამირან გურიელიძე

ლევან ანთაძე: ჯართის პირველ იმპორტიორად იქცა რუსეთი უკრაინაში

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

გთავაზობთ ინტერვიუს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ***ლევან ანთაძესთან****, რომელიც თვლის, რომ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა მიუღებელია ქართული საზოგადოებისთვის, რადგან უკრაინა-რუსეთის ომის შეფასებისას ვერ იჩენს სათანადო გამბედაობას. მისი თქმით, სასწორზე დევს ქვეყნის სუვერენიტეტი, ღირსება. თუ მსგავსი პოლიტიკა გაგრძელდება, მალე ჩვენი ხელისუფლება ნეიტრალიტეტს დათანხმდება და აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობასაც აღიარებს*

- ბატონო ლევან, სამწუხაროდ, ოპოზიცია ნეგატიურ იმიჯს უქმნის საქართველოს მთავრობას საერთაშორისო სარბიელზე.

- ჩვენი პოზიცია საქართველოს მთავრობის ქმედებებიდან გამომდინარეობს - ძნელია არ გაგიჩნდეს პროტესტი ქვეყნის პირველი პირების მიმართ. რა შეფასება შეიძლება მივცეთ იმას, რომ აგრესორი ქვეყნის წარმომადგენლები გაქებენ, ხოლო პრობლემა გაქვს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნის ხელისუფლებასთან, რომელსაც მთელი გონიერი კაცობრიობა უჭერს მხარს.

- ჩვენი მთავრობაც ხომ უჭერს მხარს?

- ეს სიტყვიერად, თორემ გადახედეთ, რა ხდება რეალურად. უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩვენი მთავრობა საკუთარი მოსახლეობის განწყობასაც ვერ გამოხატავს. კარგად იცით, როგორია ხალხის დამოკიდებულება რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ და ამაშია პრობლემაც.

- მთავრობა გონიერ, ფრთხილ პოლიტიკას ატარებს...

- დიახ, სიფრთხილე და შიში გასაგებია, არავის უნდა რუსეთთან ომი. მსგავსს არავინ სთავაზობს.

- რას ამბობთ, ბევრი ადამიანი ოპოზიციას აბრალებს, რომ საქართველოს ომში ჩათრევა სურს.

- არავითარ შემთხვევაში, ეს არ არის მართალი. ის, რასაც გვაბრალებენ, მთავრობის იდეოლოგიის ნაწილია, რომ ცუდად გამოგვაჩინონ საკუთარი ხალხის თვალში. კარგად გაკეთებული პიარია, მხოლოდ ასე ახერხებენ მოსახლეობის გაღიზიანებას ჩვენს მიმართ და ზედმეტი ქულების დაწერას.

- იგივე ტექსტებს თქვენს მიმართ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისგან ვისმენთ.

- სხვა რა უნდა თქვან თავის გასამართლებლად. ბრმა უნდა იყო, ვერ დაინახო, რეალურად რაც ჩვენი ქვეყნის ირგვლივ ხდება. როდესაც ოპოზიცია ითხოვს უკრაინას დავუჭიროთ მხარი, ამით ომში ჩართვისკენ არავის უბიძგებს, პირიქით, მშვიდობა გვინდა და გვინდა არ დავრჩეთ განაპირას, როდესაც ცივილიზებული სამყარო ბოროტების იმპერიის დამხობას იზეიმებს. დღეს ვისაც სურს ომი, კარგად ჩანს - პუტინს და მის გარემოცვას. რუსეთთან თამაშით, ბოლო 10 წლის განმავლობაში ვერაფერი მივიღეთ მცოცავი ოკუპაციის, გატაცებული ადამიანების და მოკლული მშვიდობიანი მოქალაქეების გარდა. მესმის, ფრთხილად რომ უნდა ვიყოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე დავთანხმდეთ და დავუწვეთ პუტინს. ომი უკრაინაშია და არა რუსეთში, ამიტომ, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია „ოცნების“ მთავარი იდეოლოგის კობახიძის გაფრთხილება, აქ ჩამოსული რუსები არ შევავიწროვოთო. არც ამაზე გვაქვს გართულება, მაგრამ პირველ რიგში, რუსების მიერ დაბომბილი და დანგრეული ქალაქებიდან გამოქცეულ უკრაინელ დევნილებს არ უნდა მივხედოთ? ამ ადამიანებმა ოჯახის წევრები დაკარგეს, სახლი თავზე ჩამოექცათ, ამხელა შიში, გაჭირვება და ტკივილი გადაიტანეს. მათი მამაკაცები მტრის ტყვიას მკერდს უშვერენ და აგრესორებს მამაცურად იგერიებენ. ამ ფონზე, საბანკო ოპერაციებისა და კომფორტის ძებნაში აქ მოზდავებულ რუს ტურისტებზე ზრუნვა, უხერხულად მიმაჩნია. იმას არ ვამბობ, თავს დავესხათ და გავდევნოთ, მაგრამ ხმამაღლა ნუ აცხადებენ მაინც, გაუფრთხილდითო.

- რა უნდა გააკეთონ, არ შემოუშვან რუსი ეროვნების მოქალაქეები?

- დღეს ჩვენ რუსეთთან ჰიბრიდულ ომში ვიმყოფებით. უშიშროება, კონტრდაზვერვა და სათანადო ორგანოები ფხიზლად უნდა იყოს, რომ არ შემოგვეპაროს რუსეთის ხელისუფლების აგრესიული ინტერესების გასატარებლად სპეცჯგუფები. აქამდე არ დაუკავებიათ არცერთი აგენტი, არ იციან, ვინ ჩამოდის, რა ინტერესი აქვს. ეს ომი მხოლოდ უკრაინის ხომ არ არის, ჩვენიცაა.

- ჩვენი რატომაა?

- პირველივე ულტიმატუმი, რომელიც გააჟღერა პუტინმა, ეხებოდა უკრაინას და საქართველოს ნეიტრალიტეტს და წართმეული ტერიტორიების აღიარებას. ჩვენ, ოპოზიციას, არ გვინდა ამ ომში ჩართვა, რუსეთს უნდა და ისევ მარტო რომ არ დავრჩეთ, უნდა გავაძლიეროთ კონტაქტები სხვა მოწინავე ქვეყნებთან, მოკავშირეებთან. ვის გვერდით ვართ, უნდა დავაფიქსიროთ, ანუ რასაც ჩვენ ვითხოვთ, არ ნიშნავს ომს, ეს ნიშნავს საქართველოს გადარჩენას.

- საქართველოს მთავრობამ ხომ დაუჭირა მხარი მთელ რიგ რეზოლუციებს?

- არ არის საკმარისი ის, რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს. შიშმა არ უნდა დაგძლიოს, როცა საქმე საკუთარი ქვეყნის მომავალს ეხება. ახლა მოითხოვა რუსეთმა ნეიტრალიტეტი, ხვალ მოითხოვს აფხაზეთის და ოსეთის რესპუბლიკების აღიარებას, მზად ვართ ამისთვის? ჩვენ ხომ არ დაგვიყენებია ეს ულტიმატუმი, პუტინმა დააყენა, თან ორივე ქვეყანა, საქართველოც და უკრაინაც გვერდიგვერდ ახსენა პირველივე წერილში. ანუ ეს ნიშნავს, დღეს უკრაინას დაესხა თავს, ხვალ საქართველოში შემოვა.

რვალე ტაშით, თუმცა არც ცოცხალი ძალით, არც იარაღით ეხმარება და არც ცა დაუკეტა, ამდენი თხოვნის მიუხედავად. ესეც ხომ „ოცნების“ მოგონილი არ არის, ზელენსკის სიტყვებია. ყოველ ცისმარე დღეს ეკედრება ყველას, თუმცა უშედეგოდ.

- მოდით, ასე ვთქვათ, მეომარ მხარეს ექნება ამის მოთხოვნა, იმიტომ, რომ თავად იბრძვის და მოსახლეობა ეხოცება. ამერიკა უკრაინის მხარესაა. აგერ, ორიოდ დღის წინ გააჟღერა ბაიდენმა, თუკი რუსეთი გაბედავს ქიმიური თუ ბირთვული იარაღის გამოყენებას, მიიღებს ადეკვატურ პასუხსო. ეს გაფრთხილება რუსეთის შემაკავებელი ბერკეტია, ისევე, როგორც სანქციები. თქვენ ხომ გჯერათ, რომ არც ევროპას წაადგება ეს სანქციები, საკმაოდ იზარალებენ, მაგრამ ისიც იციან, რომ აგრესორის დასამარცხებლად და დასასუსტებლად არის აუცილებელი. ევროპა დიდ დანაკარგზე მიდის იმისთვის, რომ რუსეთს არ მისცეს ომის დაფინანსების საშუალება.

- ჯერ ისევ ვერ მოახერხეს რუსეთის აგრესიის შეჩერება და არ მგონია, რომ ბაიდენის სიტყვა იღოს ყურად პუტინმა.

- არ არის ასე. უკვე ყველამ დაინახა, რომ დაიმსხვრა რუსეთის უძლეველობის მითი. იმდენად დაზარალდა რუსული ეკონომიკა, რომ ვერ უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების მოთხოვნილებებს. ჯარი აბსოლუტურად გაძარცვული აღმოჩნდა. მსგავსს არათუ ევროპა, თავად პუტინიც არ ელოდა. მას ეგონა, ელვის სისწრაფით მოიპოვებდა უკრაინაზე გამარჯვებას, მაგრამ უკვე თვე გავიდა და რეალური წინსვლა არ აქვს. შემორჩენილია უკრაინის ტერიტორიაზე და ვეღარც გარეთ გამოდის და ვერც წინ მიდის. უკრაინამ დაანახა კაცობრიობას, რომ შესაძლებელია აგრესორის შეჩერება, ამიტომ თვლის მთელი მსოფლიო, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლ ამ ქვეყანას გვერდით უნდა დავუდგეთ რითაც შევძლებთ, იქნება ეს ჰუმანიტარული დახმარება, დევნილების მიღება-განსახლება თუ მებრძოლების გაგზავნა.

- სერგეენკოს განცხადებით, არც ერთ ოპოზიციონერ პარლამენტარს ერთი თეთრი არ გადაურიცხავს უკრაინელთა დახმარების ფონდში. ამაზე რას ფიქრობთ?

- ჩვენ არ ვფიქრობთ, ომის დაწყების პირველი დღიდან ვმოქმედებთ. 24 თებერვალს ჩავატარეთ ბრიფინგი და მე თვითონ ვესაუბრე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძეს, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს ჰუმანიტარული დახმარების ოფისის გამოყოფაზე. პასუხი არ მიგვიღია. „ლელოს“ დახმარებით რა სახსრებიც გვქონდა, მოვაწყვეთ ოფისი, რომელიც დღემდე აქტიურად მოქმედებს და უწევს კოორდინირებას უკრაინის დახმარების მსურველებს. უკვე 3 მარტს, საელჩოს დახმარებით, გავაგზავნეთ უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარების პირველი ტვირთი. 11 მარტს გავაგზავნეთ 20 ტონა ტვირთი ოდესაში. ორივე ადგილზეა ჩასული. 27 მარტს მიკროავტობუსით გავაგზავნეთ ჰუმანიტარული დახმარება ისევ ოდესაში, ორიოდ დღეში, კიდევ 20 ტონას გავგზავნით. გარდა ამისა, ძალიან ბევრი დევნილი მივიღეთ უკრაინიდან. სახელმწიფომ, მხოლოდ ომამდე ჩამოსულ და აქ ჩარჩენილ უკრაინელებს მისცა სასტუმრო უფასოდ. 300-მდე ადამიანი ბათუმელების თანადგომით დავასახლეთ, მათივე მოწოდებული სურსათ-სანოვაგით დავეხმარეთ. რამდენიმე კაფეა ბათუმში, სადაც 200 ადამიანს კვებავენ აბსოლუტურად უსასყიდლოდ. ამ ამბებში ვართ ჩართული, ამით ვეხმარები ჩემს ქვეყანას, იმ ადამიანებს, უკრაინის და ჩემი საქართველოს მომავლისთვისაც რომ იბრძვიან.

- მესმის ომია, მაგრამ 2 აპრილიც ახლოვდება, ემზადებით თუ არა შუალედური არჩევნებისთვის?

- რა თქმა უნდა, ვემზადებით. ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალება „ქართული ოცნების“ სინდისზეა. სოლიდური თანხა შესთავაზეს, უარი უთხრა, მაგრამ მაინც არ ანებებდნენ თავს. პირადად ჩემთვის რამდენჯერ უთქვამს, რომ ძალიან ნერვიულობდა ამას და გარდაიცვალა კიდეც. ახლა, მისი შვილი მათე ფუტკარაძე იყრის კენჭს და ღირსების საქმედ მიგვაჩნია მისი იმ ოლქში გამარჯვება, სადაც თავად ნუგზარმა პირველივე ტურში გაიმარჯვა.

- შეხვედრებს ატარებთ ალბათ, რას ამბობს მოსახლეობა, ვის უჭერს მხარს?

- ვატარებთ, როგორ არა, ყველა აცხადებს, რომ ბათუმმა ერთხელ უკვე აირჩია ოპოზიციური საკრებულო და ახლაც იგივეს გააკეთებს. ისინიც გვეთანხმებიან, რომ ამ ეტაპზე ღირსების არჩევნები ტარდება და აუცილებლად ოპოზიციის სასარგებლოდ მისცემენ ხმებს. ერთ სამარცხვინო ფაქტს გეტყვით, 1053 ახალი ამომრჩეველი ჩაწერეს იმ ოლქში, მათ შორის „ოცნების ქალაქში“, სადაც ეს არჩევნები ტარდება.

- ხომ გააპროტესტეთ, რა გიპასუხეს?

- რა უნდა თქვან, არაფერი. ეს ჩაწერა განხორციელდა 1 მარტიდან 17 მარტამდე. ჰაერში, უმისამართოდ ჩაწერეს წალკიდან და ჯუმათიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებმაც ერთხელ უკვე მისცეს ხმა საკუთარ თვითმმართველობებს, ახლა მეორეჯერ მივლენ საარჩევნო უბნებში. ცხადია, ხვდებით, ვის მისცემენ ხმას. ხელისუფლების ყველა შტოა ამაში ჩართული, მათ შორის იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის სახლები, აჭარის მთავრობა, თავად რამაზ ჯინჭარაძე, ჩემი თანაკლასელი, რომელიც მე დავნიშნე მინისტრის მოადგილედ... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და რამაზს მივმართო, თუ ღირსება შერჩა, არ მიიღოს მონაწილეობა ამ არჩევნებში. „ქართული ოცნება“ წავა, შეიძლება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ წავიდეს, მაგრამ ღირსება და ღირსეული მოქალაქეები დარჩებიან ამ ქალაქში.

- თუ შეიძლება, ისევ უკრაინის თემას მივუბრუნდეთ? რა ფინალს უნდა ველოდოთ?

- ერთადერთი, რაც პუტინს და რუსეთს ესმის, ძალისმიერი ენაა. უკრაინელებმა საკუთარი და ცივილიზებული მსოფლიოს ძლიერება დაანახეს მას. ყველამ გაიგო, რომ მისი გაპიარებული ჯარი ჯართად გადაიქცა და ჯართის პირველ იმპორტიორად იქცა რუსეთი უკრაინაში. რაც უფრო მეტი ზეწოლა იქნება უკრაინაზე, რაც უფრო მჭიდროდ იქნებიან ევროპა, აშშ, საქართველო და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები, მით უფრო მალე დასრულდება ომი და აღარ დაიხოცებიან ბავშვები, ქალები, მოხუცები და ახალგაზრდა, ჯანსაღი ჯარისკაცები. ჯერ კიდევ 2008 წელს შეარბილეს პუტინის და რუსეთის წინააღმდეგ შეფასებები, ისიც ითქვა, მიშა სააკაშვილი არ უყვარდა და იმიტომ შემოვიდა საქართველოში. რა გააკეთა პუტინმა? აიღო ყირიმი, შემდეგ ლუგანსკი და დონბასი, ახლა უკრაინაშია. მხოლოდ მაშინ შეაჩერებს სვლას, როდესაც ძალის წინააღმდეგ დაახვედრებ ძალას. გავა დრო და ჩვენ მადლობას ვეტყვით უკრაინელებს, რომ სწორედ მათი დახმარებით შევინარჩუნეთ თავისუფლება, დემოკრატია და ქვეყნის სუვერენიტეტი.

> *„დღეს ჩვენ რუსეთთან ჰიბრიდულ ომში ვიმყოფებით. უშიშროება, კონტრდაზვერვა და სათანადო ორგანოები ფხიზლად უნდა იყოს, რომ არ შემოგვეპაროს რუსეთის ხელისუფლების აგრესიული ინტერესების გასატარებლად სპეცჯგუფები. აქამდე არ დაუკავებიათ არცერთი აგენტი, არ იციან, ვინ ჩამოდის, რა ინტერესი აქვს. ეს ომი მხოლოდ უკრაინის ხომ არ არის, ჩვენიცაა*

„სოლიდარობის თემი“ – რეგიონის განვითარებისთვის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ამა წლის დასაწყისში აჭარის მთიანეთში არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობის თემი“ დაფუძნდა. მის მიზნებსა და ამოცანებზე ორგანიზაციის თანადამფუძნებელი ***ნესტან ანანიძე*** *გვესაუბრება.*

- როგორ გაჩნდა „სოლიდარობის თემის“ დაფუძნების იდეა?

- მასში 10 ახალგაზრდაა აჭარიდან, რომლებიც განსხვავდებიან პროფესიით, შეხედულებებითა და ინტერესებით. ჩვენ ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის გარკვეული გამოცდილება გვაქვს, თუმცა საქმიანობის მეტი ორგანიზებულობის, სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმისა და განხორციელების მიზნით, ერთ წელში აღნიშნულ ერთობას ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმა მივანიჭეთ, ეს შესანიშნავი იდეა კი ზაზა მიქელაძეს ეკუთვნის - ერთ-ერთ თანადამფუძნებელს.

- ყველა წამოწყებას აქვს მიზანი...

- „სოლიდარობის თემი“ არის არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციაა, რომლის მისია აჭარის ცნობადობის გაზრდა, კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა, სოციალური და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება, მუსლიმი თემის თვითორგანიზების და სოლიდარობის პრაქტიკის დამკვიდრების მხარდაჭერაა. ორგანიზაცია ორიენტირებულია სოლიდარული, სამართლიანი და ინკლუზიური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე, სადაც ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელს შეეძლება საკუთარი უფლების დაცვა, ღირსეული და უსაფრთხო ცხოვრება. ჩვენი მუშაობის ძირითადი არეალი აჭარაა, ასევე ის ტერიტორიები, სადაც სხვადასხვა პრობლემის გამო აჭარიდან გადასული ოჯახები ცხოვრობენ. შესაბამისად, ჩვენ ვთანამშრომლობთ და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა ადამიანსა თუ დაწესებულებასთან, ვინც ცხოვრობს ან საქმიანობს ამ სივრცეებში და შეესაბამება ორგანიზაციის ღირებულებებს.

- როგორია თქვენი დამოკიდებულება მუსლიმი თემისადმი?

- მნიშვნელოვანია, ყველას გვესმოდეს, რომ საქართველო არ არის მონოეთნიკური თუ მონორელიგიური ქვეყანა. პირიქით, ვხედავთ, რომ ეს პატარა მიწა მრავალი ნიშნით განსხვავებულ ადამიანთა ტერიტორიაა. ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანია ქართველი მუსლიმების რელიგიური იდენტობის, უფლებრივი საკითხებისა და ისტორიის კვლევა. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია, რადგან ხშირად გვესმის სიძულვილის ენა, ვხედავთ დისკრიმინაციას, დეზინფორმაციას ქართველ მუსლიმებთან დაკავშირებით. ისიც უნდა ვთქვათ, რომ არ არიან დაფასებული საქართველოს მუსლიმი მოღვაწეები, რომლებსაც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი საერთო ქართული სახელმწიფოებრივი იდეის განხორციელებაში. ამის მაგალითი ძალიან ბევრია: მემედ აბაშიძის, ლომან-ეფენდი ქარცივაძის, ახმედ ხალიფაშვილის ჩამოთვლაც საკმარისია, თუმცა კიდევ არაერთი სამაგალითო მოღვაწე ჰყავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს.

- აჭარის მთიანეთში მუსლიმ თემთან ერთად სხვა აღმსარებლობის მიმდევრებიც არიან. ტოლერანტობას რა მნიშვნელობას ანიჭებთ?

- ვფიქრობთ, აჭარას აქვს ძალიან დიდი პოტენციალი, იყოს ინტერრელიგიური მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითი, მიუხედავად არსებული სხვადასხვა გამოწვევისა. თუმცა, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეს მშვიდობიანი თანაცხოვრება არ ეფუძნებოდეს რომელიმე რელიგიის წარმომადგენელ ადამიანთა თმენასა და ჩაგვრას. აჭარაში ვხვდებით ოჯახებს, სადაც სხვადასხვა მრწამსის მქონე ადამიანები ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, ამიტომაც მნიშვნელოვანია ნამდვილი ტოლერანტობა, ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთის ჩვეულებების გაზიარება. განვითარებული, დემოკრატიული და მშვიდობიანი ქვეყნის მშენებლობა ერთად შეგვიძლია და არა ცალ-ცალკე - ძალა ხომ ერთობაშია.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე თქვენს მიზნებზე უკვე ისაუბრეს, რომელთა სრულყოფას თანხები სჭირდება. მუდმივი დონორი გყავთ თუ პერიოდულად გრანტების მოპოვებით დაკმაყოფილდებით?

- გეთანხმებით, საამისოდ ხშირად საჭიროა ფინანსური რესურსები, თუმცა არა ყოველთვის. „სოლიდარობის თემის“ გუნდის წევრების ცოდნითა და გამოცდილებით, არაერთი აქტივობა განვახორციელეთ ყოველგვარი ფინანსური რესურსის გარეშე. მაგალითად, „ქალთა ფოტოისტორიები აჭარიდან“, „ქალები ქალების ვაქცინაციისთვის“ და ასე შემდეგ. ჩვენი ფინანსური წყაროები სრულიად საჯაროა. სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის არ გვყავს მუდმივი დონორი და პერიოდულად გრანტებს ვიღებთ ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციებისგან: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, People in need Georgia, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი.

- მარტო ხულოს მუნიციპალიტეტიდან სამცხეში, ჯავახეთისა და თრიალეთის ზეგნებზე 4500-მდე ოჯახია გადასული. ისინი სხვადასხვა აღმსარებლობისა არიან. მიზნებში მათთან მუშაობის, თანამშრომლობის რა ფორმას ირჩევთ?

- საქსტატის მონაცემებით, ყველაზე მეტი ოჯახი, რომელიც სტიქიას, მიწის რესურსების სიმცირეს განერიდა, ამ რეგიონებშია გადასული. აჭარიდან ეკომიგრანტები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ცხოვრობენ. მათი სოციალური ყოფა არც ისე სახარბიელოა და ხშირად ბაზისური საჭიროებებიც კი არ აქვთ დაკმაყოფილებული, მაგალითად, გზის, სასმელი წყლის, მიწის საკუთრების რეგისტრაციის საჭიროებები.

- ხმები ვრცელდება, რომ „სოლიდარობის თემს“ ოპოზიციონერი პარლამენტარი ლობირებს. ეს სიმართლეა?

- „სოლიდარობის თემი“ გვაერთიანებს ათ ახალგაზრდას, რომლებიც დავიბადეთ და გავიზარდეთ აჭარაში, საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში სხვადასხვა მიმართულებით მივიღეთ განათლება, ახლა კი ვალდებულებად მივიჩნევთ, ჩვენი წილი აგური დავდოთ რეგიონისა და ქვეყნის განვითარებაში. ჩვენი გაცხადებული პოზიციაა, რომ „სოლიდარობის თემი“, როგორც სამოქალაქო ორგანიზაცია, სრულად იზოლირებულია პოლიტიკისგან და ჩვენს ფეისბუქ თუ ფიზიკურ აქტივობებში პოლიტიკის ნიშანს ვერ ნახავთ. „სოლიდარობის თემის“ საბჭოს გადაწყვეტილებით, დაცლილი ვართ ყოველგვარი პოლიტიკისგან, შესაბამისად, ჩვენდამი პოზიტიურ განწყობას ვერავის ავუკრძალავთ, თუმცა ჩვენი საქმიანობა საერთოდ, არ არის დაკავშირებული რომელიმე პარლამენტართან ან პარტიასთან. აქედან გამომდინარე, შეთანხმებულნი ვართ, რომ თუ რომელიმე წევრი შეუდგება პარტიულ საქმიანობას, ის დატოვებს „სოლიდარობის თემს“.

- რა დამოკიდებულება გაქვთ ქვეყნის, რეგიონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან?

- ვაანალიზებთ, რამდენად ღირებულია მათთან თანამშრომლობა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურსა და ავტონომიის დონეზე. სხვადასხვა უწყებასთან თანამშრომლობის გამოცდილება უკვე გვაქვს.

- სახელისუფლებო სტრუქტურებში თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში „სოლიდარობის თემის“ დამფუძნებლები თუ ჩაერთვებით?

- როგორც აღვნიშნე, „სოლიდარობის თემი“ არანაირ პარტიულ, პოლიტიკურ საქმიანობაში არ არის ჩართული. ჩვენ მიზნად დავისახეთ ცვლილებების განხორციელება ქვემოდან დავიწყოთ ხალხთან ერთად და არა - ზემოდან. ამ საკითხთან დაკავშირებით, ცხადია, ყველა თანადამფუძნებელს თავისი მოსაზრება ექნება, თუმცა თავიდანვე შეთანხმებულნი ვართ, რომ დაუშვებელია ორივე საქმიანობის შეთავსება.

- ყველა დამფუძნებელს ახალგაზრდული ასაკი გაქვთ. თქვენი თაობის წარმომადგენლებისთვის რა პროექტებს გეგმავთ?

- უკვე განვახორციელეთ ერთ-ერთი პროექტი - „ახალგაზრდები მთიანი აჭარისთვის“, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოქალაქეთა, მათ შორის ახალგაზრდების ჩართულობის ფორმებს. ქედის, შუახევისა და ხულოს ახალგაზრდები იყვნენ ჩართულნი. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს შესაძლებლობა, ჩვენი ახალგაზრდების მოსაზრებები, დამოკიდებულებები, იდეები, მოტივაციები გაგვეგო. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება რეგიონალური განვითარება და ახალგაზრდობაა, შესაბამისად, გარდა პროექტებისა, ვმუშაობთ, რომ მეტი შესაძლებლობები შევქმნათ ორგანიზაციის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობისთვის.

- ხულოს მცირე იერუსალიმად ვნათლავთ. ორი მართლმადიდებლური ტაძარი მრევლს სალოცავად უხმობს, მეჩეთსა და მედრესეს თავისი მრევლი ჰყავს. არიან ოჯახები, სადაც აღმსარებლობისადმი დამოკიდებულება სხვადასხვაა. ამ მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?

- პირველ რიგში, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის რწმენა ეფუძნებოდეს თავისუფალ არჩევანს და არა რაიმე სახის ზეგავლენას. რაც შეეხება ოჯახებს, რომლებიც სხვადასხვა აღმსარებლობის წევრებისგან შედგება, ვფიქრობ, ეს არის უნიკალური შესაძლებლობა და გამოცდილება, ვიხილოთ მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითები. სხვათა შორის, რამდენიმე კვირის წინ გამოქვეყნდა „სოლიდარობის თემის“ ერთ-ერთი თანადამფუძნებლის და აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე აბულაძის ნაშრომი - „როგორ ცხოვრობენ შერეული რელიგიური ოჯახები მთიან აჭარაში“. მან ამ საკითხზე ხულოში 2020 წელს იმუშავა. ძალიან საინტერესოა და ყველას ვურჩევ წაიკითხოს. იძებნება ჩვენს ვებგვერდზეც და სოციალური სამართლიანობის ცენტრის გვერდზეც. ვფიქრობთ, რომ ჩვენი აჭარის უნიკალურობა სწორედ ამაში გამოიხატება - ენაში, რიტუალებში, ტრადიციებსა და ყოველდღიურობაში. ეს შეზრდილი განსხვავებები სხვებისთვის ღია, უნიკალურ გარემოს ქმნის. ამიტომაც, ჩემი აზრით, აჭარლები ყველაზე მეტად უნდა ვიყოთ სოლიდარულები განსხვავებული, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მიმართ.

- როგორია თქვენი დამოკიდებულება მათ მიმართ, ვინც მრწამსის და ეროვნების ურთიერთდამოკიდებულებას თავისებურ ინტერპრეტაციას უსადაგებს?

- სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა სახის ნაციონალიზმი იკიდებდა ფეხს. ყველაზე მტკივნეულია ეთნოკონფესიური ნაციონალიზმი, როდესაც ქვეყნის მოქალაქეობის განსაზღვრა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის თუ იდენტობის ნიშნით ხდება. ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, რაც შეიძლება ქვეყანას გაუკეთო და ერთიანი მოსახლეობა დაყო, ერთმანეთთან დააპირისპირო. ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა მრწამსის ქართველები ცხოვრობენ: იეზიდები, კათოლიკეები, ბაპტისტები, გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლები, მართლმადიდებლები, მუსლიმები, ეთნიკურად აზერბაიჯანელები, უდიები, აფხაზები, ოსები, ქისტები, ქართველები და ასე შემდეგ. ამ განსხვავებულობის მიუხედავად, ჩვენ, ყველანი ქართველები ვართ, რადგან ერთად ვიბრძვით ქვეყნის ერთიანობისთვის, განვითარებისა და წინსვლისთვის.

- ოჯახურ ღირებულებებს რა მნიშვნელობას ანიჭებთ?

- ყველა ძლიერი ადამიანის უკან დგას მყარი ოჯახი, რომელიც მუდამ გამხნევებს და მხარს გიჭერს. ამიტომაც, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოჯახური იდილია.

- კვალიფიციური განათლების მიღების შემდეგ დაუბრუნდით მთას, დააფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია, შეძელით თუ არა სხვა ახალგაზრდების აყოლიება?

- საბედნიეროდ, ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის ახალგაზრდები გვეხმიანებიან და გვამხნევებენ, გვაფასებენ ძალიან დადებითად, სურთ ჩვენს გუნდთან შემოერთება და ჩვენთან ერთად საქმიანობა. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი თანამოაზრე გვყავს და მომავალში კიდევ უფრო მეტი გვეყოლება, რადგან რეალურ შედეგებამდე მხოლოდ ერთად მუშაობით მივალთ.

- მასმედიის საშუალებების წარმომადგენლებთან ყოველთვის გულახდილი იქნებით?

- ჩვენი უმთავრესი ღირებულებაა, ვიმსახურებდეთ ადამიანების ნდობას. ნდობის მოპოვება კი შეუძლებელია გულწრფელობის გარეშე. მაშასადამე, ორგანიზაციის თითოეული წარმომადგენელი ყველგან და ყოველთვის გულწრფელი საუბრებით წარვსდგებით, რადგან ჩვენ ვართ ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც უმაღლესი ადამიანური ღირებულებებისა და ფასეულობების გარშემო ვართ გაერთიანებულნი.

> *საქართველო არ არის მონოეთნიკური თუ მონორელიგიური ქვეყანა. პირიქით, ვხედავთ, რომ ეს პატარა მიწა მრავალი ნიშნით განსხვავებულ ადამიანთა ტერიტორიაა. ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანია ქართველი მუსლიმების რელიგიური იდენტობის, უფლებრივი საკითხებისა და ისტორიის კვლევა*

„გაფრთხილების“ შემდეგ რუსეთში კიდევ ერთი გაზეთი წყვეტს მუშაობას

რუსული კრიტიკული გამოცემა „ნოვაია გაზეტა“ „როსკომნადზორის“ მეორე გაფრთხილების შემდეგ „უკრაინის ტერიტორიაზე სპეცოპერაციის“ დასრულებამდე მუშაობას წყვეტს. ამის შესახებ ინფორმაცია მედიამ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა.

„არ ვიცით რატომ, ჯერ პირველი გაფრთხილებაც კი არ მიგვიღია, ამიტომ არც ფორმულირება ვიცით. ხელში არაფერი მოუციათ“, - განაცხადა გაზეთის პრესმდივანმა ნადეჟდა პრუსენკოვამ BBC-ისთან.

ცნობისთვის: „ნოვაია გაზეტას“ მთავარმა რედაქტორმა დიმიტრი მურატოვმა შარშან მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო. რამდენიმე დღის წინ მან განაცხადა, რომ აპირებდა თავისი ნობელის პრემიის მედლის აუქციონზე გაყიდვას და მიღებული თანხის უკრაინელი ლტოლვილების დასახმარებელ ფონდში გადარიცხვას.

ამირან გურიელიძე

ტკივილი - კითხვის ნიშნით

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

გულის არეში წარმოქმნილ ტკივილს ყველა ადამიანი შიშით აღიქვამს, - ნეტავ, გული ხომ არ არის?! მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს გულის არაკარდიული ტკივილიც, რომელიც ძალიან ჰგავს გულისმიერ ტკივილს - ხშირად მკერდის ძვლის უკან აღმოცენდება, მწვავეა, ძლიერი, მოჭერითი, ზეწოლითი ხასიათის, გადაეცემა კისერს, მარცხენა ხელს, ზურგს, ხშირად საათობითაც გრძელდება. რამდენადაც აღწერილი ტკივილი ძალიან ჰგავს მწვავე კორონარული უკმარისობის (ინფარქტი, სტენოკარდია) სიმპტომებს, ავადმყოფებს უტარდებათ ლაბორატორიული ტესტები, ელექტროკარდიოგრაფია, ზოგჯერ - კორონარული ანგიოგრაფიაც კი. თუ კვლევებით გულის პათოლოგია არ დადგინდა, არაკარდიული ტკივილის დიაგნოზი ისმევა და იწყება ტკივილის გამომწვევი მიზეზის ძებნა.

გულის არაკარდიულ ტკივილს ასევე უწოდებენ გულის ატიპურ ტკივილს, გულის ფუნქციურ ტკივილს, გაღიზიანებულ, მგრძნობიარე, ჯარისკაცის გულს, ნეიროციირკულატორულ ასთენიას, დაკოსტას სინდრომს...

არაგულისმიერი ტკივილი ყველა ასაკში შეიძლება წარმოიშვას, უმეტესად ქალებში გვხდება. რისკფაქტორები უცნობია.

ტკივილს, შესაძლოა, საკვების მიღებასთან ჰქონდეს კავშირი - ხშირია გასტროეზოფაგური რეფლუქსის სიმპტომებთან (გულძმარვა, წვა მკერდის ძვლის უკან, პირში კუჭის წვენის ამოსვლის გემო) თანხვედრა. გული და საყლაპავი გულმკერდის ღრუში ერთმანეთს ედება. მათ მსგავსი ნერვული დაბოლოებებიც აქვთ. მათში აღმოცენებული ნერვული იმპულსები ერთი და იმავე მგრძნობიარე ნერვის გავლით მიემართება თავის ტვინისკენ. ამიტომაც ერთი მათგანის ტკივილი შესაძლოა, მეორისად აღვიქვათ. ამიტომაც გვევლინება საყლაპავი გულის არეში არაგულისმიერი ტკივილის ყველაზე გავრცელებულ მიზეზად.

განასხვავებენ გულის არაკარდიული ტკივილის ორ ფორმას - საყლაპავისმიერს და არასაყლაპავისმიერს.

საყლაპავისმიერი მიზეზებიდან გულის არაკარდიულ ტკივილს იწვევს:

გასტროეზოფაგური რეფლუქსი - ტკივილთან ერთად პაციენტები უჩივიან გულძმარვას, რეგურგიტაციას;

საყლაპავის მოტორიკის მოშლა და მისი კუმშვადობის დარღვევა - საყლაპავის სპაზმი, რასაც მისი კუნთების შეუთანხმებელი შეკუმშვები იწვევს; მაკნატუნას საყლაპავი - კუნთების ერთიანი, ძლიერი შეკუმშვა; აქალაზია - ნერვული უჯრედების დაზიანების გამო შეკუმშვის უნარის დაკარგვა;

საყლაპავის ჰიპერმგრძნობელობა (ვისცერული ჰიპერმგრძნობელობა) - საყლაპავში წნევისა და სიმჟავის მცირე ცვლილებაც კი ძლიერ ტკივილს იწვევს.

არასაყლაპავისმიერი მიზეზებიდან გულის არეში ტკივილს იწვევს: გულმკერდის ან ხერხემლის ჩონჩხისა და კუნთების პრობლემები, ფილტვებისა და პლევრის დაავადებები, პერიკარდიუმის ზოგიერთი მდგომარეობა, კუჭსა და საყლაპავში არსებული წყლულები, ნაღვლის ბუშტის პრობლემები, პანკრეასის პათოლოგიები, სიმსივნეები...

გულის არეში ნებისმიერი ხასიათის ტკივილის დროს აუცილებელია გულის დაავადების გამორიცხვა. პაციენტს მიეწოდება მედიკამენტი - პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორი ორი კვირის განმავლობაში. თუ მის ფონზე ტკივილი ჩაცხრა, მის მიზეზად საყლაპავში მჟავის რეფლუქსი მიიჩნევა. გაგრძელდება მკურნალობა მჟავაწარმოქმნის დამთრგუნველი პრეპარატით კიდევ ორი თვე. თუ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა, კვლევა გრძელდება ენდოსკოპიით, ექოსკოპიით და ა.შ.

გულის არეში არაგულისმიერი და არასაყლაპავისმიერი ტკივილის ერთ-ერთ ხშირი მიზეზია **კოსტოქონდრიტი** - მკერდის ძვლისა და ნეკნების შემაერთებელი ხრტილის ანთება. იგი უმთავრესად 40 წელს გადაცილებულ ქალებში გვხდება. მას ახასიათებს მწვავე ტკივილი მკერდის ძვლის მარცხენა მხარეს, რომელიც ღრმა ჩასუნთქვისას და ხველებისას ძლიერდება. კოსტოქონდრიტის სავარაუდო მიზეზებია: დაზიანება, ტრავმა; ფიზიკური დატვირთვა (მძიმე საგნების რეგულარული აწევა, ტარება, ინტენსიური ვარჯიში, ძლიერი ხველა); ართრიტი; სახსრის ინფექცია, რომელიც შესაძლოა ვირუსით, ბაქტერიით ან სოკოთი იყოს გამოწვეული; სიმსივნე - კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი.

ვინაიდან კოსტოქონდრიტით გამოწვეული ტკივილი ძალიან ჰგავს გულის შეტევას, ფილტვის დავადებების, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოსტეოართრიტის თანხმლებ ტკივილს, ტარდება ეკგ, რენტგენი, კტ, მაგნიტორეზონანსული კვლევა სხვა პათოლოგიების გამოსარიცხად.

კოსტოქონდრიტი კეთილსაიმედოდ მიმდინარეობს, მკურნალობის მიზანი ტკივილის შემსუბუქებაა, რისთვისაც ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდულ პრეპარატებს ან უფრო ძლიერ გამაყუჩებლებს იყენებენ. რეკომენდებულია გაწელვითი ვარჯიშები, ნერვის ელექტროსტიმულაცია, უეფექტობის შემთხვევაში კორსტიკოსტეროიდული პრეპარატი უშუალოდ მტკივან სახსარში შეჰყავთ.

ოპოზიციას მმართველ გუნდში უპასუხეს

ბათუმში, მეოთხე საარჩევნო ოლქში, „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა რაოდენობა გაზარდა, - ამის შესახებ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი კირთაძემ გუშინ ბრიფინგზე განაცხადა.

- „ქართულმა ოცნებამ“ იშოვა დრო და გააგრძელა საარჩევნო ყაჩაღობა. 1053 ახალი ადამიანი დარეგისტრირდა მე-4 სამაჟორიტარო ოლქში. ეს ის ოლქია, რომელიც ნუგზარ ფუტკარაძემ მოიგო, თუმცა ზეწოლის შედეგად ბატონი ნუგზარი გარდაიცვალა. ეს არჩევნები ჩვენთვის ღირსების არჩევნებია. მათი დიდი უმრავლესობა პირველი მარტიდან 16 მარტამდეა დარეგისტრირებული, ასევე დიდი რაოდენობაა დარეგისტრირებული 89-ე საარჩევნო უბანზე. 402 ადამიანი დარეგისტრირებულია ფრიდონ ხალვაშის გამზირზე. აღსანიშნავია, რომ ეს ადამიანები აქამდე ხმას აძლევდნენ სხვადასხვა რეგიონიდან. ვიცით, რა უპრეცედენტო მასშტაბის ზეწოლას ახორციელებდა აქამდე „ქართული ოცნება“. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას მოვუწოდებთ, რომ მკვეთრი პოზიცია გამოხატოს და ცესკომ დააბრუნოს რაც არის რეალური. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვალ კონკრეტულ განცხადებას გავავრცელებთ, - განაცხადა გიორგი კირთაძემ.

ოპოზიციას უპასუხეს მმართველ გუნდში. „ქართული ოცნების“ წევრმა ირაკლი ჭეიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდება ხელოვნურად გაზრდილ საარჩევნო სიებთან დაკავშირებით უსაფუძვლოა. მისი თქმით, მეოთხე სამაჟორიტარო ოლქში ამომრჩეველთა სიაში, წინა არჩევნებთან შედარებით, სხვაობა 500-ია.

- დღეის მდგომარეობით, 20635 ამომრჩეველი ფიქსირდება, გაზრდილია 500 ხმით. მათ არითმეტიკა არ იციან, 258 ადამიანი ამ 14 უბანში შიდა გადაწერით არის დაფიქსირებული ანუ გონიოდან - აღმაშენებელზე, კვარიათიდან - აეროპორტში და ასე შემდეგ. 99 ადამიანი 18 წლის გახდა, შესაბამისად, სიაში აისახა, ვადაგასული პირადობის მოწმობა 138-მა პირმა აღადგინა, ეს ადამიანები სიაში აისახა და ამომრჩეველთა რაოდენობაც გაიზარდა, - აღნიშნა ირაკლი ჭეიშვილმა.

ია შველიძე

ჰუმანიტარული ტვირთის მეორე ეტაპი - უკრაინისთვის

საქართველოს რეგიონებიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნის მეორე ეტაპი დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. მისივე ცნობით, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის, რაც რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, ერთობლივად ხორციელდება.

„ტვირთის შეგროვების პროცესში, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ჩართულია ბიზნესი და სამოქალაქო სექტორი. მეორე ეტაპზე, საქართველოს მასშტაბით, 120 ტონა ტვირთის მობილიზება მოხდა, მათ შორის 90 ტონა - რეგიონებიდან. ის ძირითადად სამედიცინო დანიშნულების პროდუქციას, არამალფუჭებად პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების საგნებს მოიცავს.

ამ ეტაპზე თბილისში, საქართველოს ფოსტის ტერმინალში თავმოყრილია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში მობილიზებული ტვირთი, რომელიც სატვირთო ავტომობილებში დაიტვირთება და უკრაინაში სახმელეთო გზით, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, გაიგზავნება. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ჰუმანიტარული ტვირთის მობილიზების პროცესი გრძელდება და უკრაინაში გასაგზავნად მზად კვირის ბოლოს იქნება.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელი ხალხის დასახმარებლად რამდენიმე დღის წინ საქართველოს რეგიონებში შეგროვილი 150 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი უკვე გაიგზავნა. ტვირთის ტრანსპორტირების ლოჯისტიკის პროცესს საქართველოს ფოსტა უზრუნველყოფს“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

300-მდე მრავალბინიანი კორპუსი ახალი, თანამედროვე საცხოვრისით ჩანაცვლდება

პირველი გვერდიდან

- ჩვენ გვინდა, ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო მაღალი იყოს ქვეყანაში ამ კრიზისის და გამოწვევების ფონზე. ამას პირდაპირ უკავშირდება დასაქმების პროგრამა, რომელზეც აპრილიდან აქტიურად, ინტენსიურად დავიწყებთ მუშაობას და ათასობით სამუშაო ადგილს შევქმნით ქვეყანაში, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი საწვავის ფასის ზრდასთან დაკავშირებით ამ დღეებში გამართულ საპროტესტო აქციებსაც გამოეხმაურა. როგორც მან აღნიშნა, ხელისუფლების ოპონენტები ცდილობენ, მოქალაქეები საწვავის ფასების და ინფლაციის საკითხზე შეცდომაში შეიყვანონ.

- გუშინ ჩვენ ვნახეთ, რომ გარკვეული აქციები იყო ორგანიზებული, რომლის უკან, პირდაპირ უნდა ითქვას, „ნაციონალური მოძრაობა“ იდგა. მესმის, რომ ჩვენს მოქალაქეებს ძალიან აწუხებთ ფასები. ყველანი ვართ დაინტერესებული, რაც შეიძლება, შევუმსუბუქოთ ჩვენს მოქალაქეებს გაზრდილი ფასები და ის წნეხი, რომელიც ამ კრიზისებიდან გამომდინარეობს. ზოგადად, ინფლაციას როცა ვახსენებთ, მინდა მოქალაქეებს გავახსენო, რომ კოვიდპანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ინფლაციის მაჩვენებელმა არაერთ ქვეყანაში არა მხოლოდ პროგნოზირებულს გადააჭარბა, არამედ უმეტეს შემთხვევაში ათწლეულების რეკორდულ დონეს მიაღწია. მაგალითად, აშშ-ში 40 წლის რეკორდული მაქსიმუმი დაფიქსირდა, გერმანიაში ინფლაცია არის ბოლო 29 წლის მაქსიმუმზე, - განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება.

- მინდა, ჩვენს ძვირფას მოქალაქეებს, მოსახლეობას შევახსენო, რომ საწვავის ფასების მიხედვით, 21 მარტის მონაცემებით, მსოფლიოს 170 ქვეყანას შორის ერთი ლიტრი ბენზინის სიიაფით 71-ე იყო საქართველო. 99 ქვეყანაში არის ძვირი საწვავი, ბენზინი, ვიდრე საქართველოში. ასევე მინდა, ჩვენს მოქალაქეებს განვუმარტო, რაც შეეხება გაზის ფასებს - გაზის ფასები არის მკვეთრად გაზრდილი ევროპაში, ასეთი რამ არ ყოფილა. 2-3 კვირის წინ 3 900 დოლარს მიაღწია ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ფასმა და თუ გახსენდებათ, რამდენს ვიხდით ჩვენ ბუნებრივ აირში? ეს არის სოციალური გაზი და ეს არის კომერციული გაზი. ვინაიდან ეს კომერციული საიდუმლოებაა, კონკრეტულად ვერ ვიტყვით, მაგრამ ის კონტრაქტები, რაც მთავრობას აქვს გაფორმებული აზერბაიჯანთან, არის ძალიან მიზერული, ვიტყოდი, ევროპაში აზერბაიჯანის შემდეგ მეორე თუ მესამე ადგილას ვართ გაზის ფასების მიხედვით. ყველაზე იაფი ღირს მთელ ევროპაში გაზი საქართველოში, აზერბაიჯანის შემდეგ. ამიტომ გთხოვთ ყველას, რომ ამ სიტუაციაში, ასეთ კრიზისულ ვითარებაში მეტი პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ და ნუ შევიყვანთ მოქალაქეებს შეცდომაში, - აღნიშნა პრემიერმა.

ია შველიძე

„SMEDA“-ს პირველი ბიზნესფორუმი - ბათუმში

მე-2 გვერდიდან

- აჭარის რეგიონი ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მრავალმხრივ გამორჩეულია. 26 მარტს გამართული ბიზნესფორუმი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე რეგიონში მოდვაწე მცირე და საშუალო დონის ბიზნესსუბიექტებისათვის. ფორუმზე წარმოდგენილი იყვნენ როგორც სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო და საბანკო სექტორი, აღნიშნული ორგანიზაციები ერთგვარი ხიდია მეწარმეებსა და ინსტიტუციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გასამყარებლად. ფორუმზე ბევრი სიახლით წარსდგა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რასაც ჩვენი საწარმოს განსავითარებლად აუცილებლად გამოვიყენებ. ვფიქრობ, პანდემიისგან გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების პირობებში მსგავსი შეხვედრები და საჭიროებების ურთიერთგაცვლა ყველა ტიპის ბიზნესისათვის ხელსაყრელია, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მეწარმე ზაირა ჯიბლაძემ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეითი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/03/22, 19 ⁵⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მთავარია მონდომება და დაუზარელი შრომა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჩვენი თანაქალაქელი, №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ***თამთა ჯაყელი*** *სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის წარმატებული და გამორჩეული სტუდენტია, რომელმაც სრული დაფინანსება მოიპოვა და გაცვლითი პროგრამით იტალიაში ისწავლის. გთავაზობთ ინტერვიუს ამ პერსპექტიულ და ნიჭიერ ახალგაზრდასთან.*

- დიდი წარმატება მოიპოვეთ - გაცვლითი პროგრამით იტალიაში, ლუმსას უნივერსიტეტში ისწავლით სრული დაფინანსებით, გილოცავთ! როგორი იყო გზა წარმატებისკენ?

- პირველ რიგში, უღრმესი მადლობა მოლოცვისთვის. ჩემთვის ნამდვილად უდიდესი ბედნიერებაა, ვიყო იტალიის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის სტუდენტი. მიხარია, ამის შესაძლებლობა რომ მომეცა. წელს ჩავაბარე გამოცდები მაგისტრატურაში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში საჯარო სამართლის მიმართულებით. ვერც კი წარმოვიდგენდი, პირველივე წელს თუ მომეცემოდა შესაძლებლობა, საერთაშორისო ასპარეზზე გავსულიყავი, თუმცა როგორც კი გამოცხადდა „ERASMUS +"-ის გაცვლითი პროგრამა, გადავწყვიტე, მონაწილეობა მაინც მიმეღო. ასეც მოვიქეცი და გამოცდებიც წარმატებით ჩავაბარე.

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტ sabauni-ს განსაკუთრებით ემადლიერებით...

- ცხადია. ამ უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, ოცნება რეალობად მექცია. ყოველთვის მინდოდა, საზღვარგარეთ მესწავლა, განსაკუთრებით, იტალიაში, ერთ-ერთი ჩემი საყვარელი ქვეყანაა თავისი კულტურითა და ისტორიით. ნამდვილად, სწორი არჩევანი გავაკეთე, როდესაც sabauni-ში ჩავაბარე. უაღრესად ბედნიერი და ამაყი ვარ. ჩემთვის ეს უდიდესი გამოწვევაა და აუცილებლად გავამართლებ საკუთარ და უნივერსიტეტის იმედებს.

- სანამ სტუდენტი გახდებოდით... ანუ მოსწავლეობის პერიოდი და სასურველი პროფესიისათვის მზადება...

- დავასრულე ბათუმის №1 საჯარო სკოლა. ზოგადად, სკოლა გვაძლევს შესაძლებლობას, გავიაზროთ, რა გვინდა მომავალში, რომელ პროფესიას ავირჩევთ და სად ვხედავთ საკუთარ თავს. იურისტობა ბავშვობიდან მინდოდა, ჩემს მომავალ პროფესიად ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ იურიდიულს განვიხილავდი. შესაბამისად, სკოლის დასრულების შემდეგ ჩავაბარე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

- როგორს ხედავთ საკუთარ პერსონას მომავალში?

- სიმართლე გითხრათ, წინასწარ მომავალზე ფიქრი და წარმოდგენების შექმნა არ მიყვარს, თუმცა, რა თქმა უნდა, მაქვს მიზნები და მჯერა, ყველა დასახულ მიზანს მივაღწევ, მთავარია მონდომება და დაუზარელი შრომა.

- შემდგარი ადამიანი როგორი წარმოგიდგენიათ, თქვენს თვალსაწიერზე ხედავთ ასეთ ადამიანებს? ანუ ვინაა თქვენთვის სამაგალითო და გზამკვლევი?

- ცხადია, ირგვლივ ძალიან ბევრი შემდგარი და წარმატებული ადამიანია. მეც მყავს სამაგალითო პიროვნება, რომლის მონდომება და დაუზარელი შრომა ჩემი უდიდესი მოტივატორია. მისი შეგონებები, რჩევები, გამხნევება და გვერდში დგომა მეხმარება, ყოველთვის წინ ვიყურო და გამოწვევებს მზად და თამამად დავუხვდე, თუმცა ამჯერად მისი დასახელებისგან თავს შევიკავებ.

- „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია" - ამ შეგონების სიმართლეში დღევანდელობამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა...

- განსაკუთრებით ახლა - პანდემიის პერიოდში, ჯანმრთელობის შენარჩუნება ყველაზე მნიშვნელოვანია, აუცილებლად უნდა მოვუფრთხილდეთ ჩვენს ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას. ვერ ვიტყვი, რომ სწორად ვიკვებები და სისტემატურად ვვარჯიშობ, თუმცა ჩემთვის მოწესრიგებული ძილის რეჟიმი ყველაზე მნიშვნელოვანია. ყოველდღიური აქტიურობა და რაც მთავარია, პოზიტიური განწყობა მეხმარება, რომ ვიყო ძლიერი და ჯანმრთელი.

- სულიერი ზრდისათვის რას აკეთებთ, ანუ ლიტერატურა, ხელოვნება და თქვენ... რა გიტაცებთ, რა აღგაფრთოვანებთ და დადებითად განგაწყობთ?

- ლიტერატურა და ხელოვნება ძალიან მიყვარს. მართალია, სტუდენტობის პერიოდში იშვიათად ვახერხებ მხატვრული ლიტერატურის კითხვას, თუმცა ვცდილობ, გარკვეული დრო მაინც დავუთმო. ბავშვობაში, ალბათ, როგორც უმეტესობა, მეც დავდიოდი მუსიკალურ სასწავლებელში. კლასიკური მუსიკა ძალიან მიყვარს, ხშირად განტვირთვისთვის ვუკრავ, რაც ძალიან მეხმარება. მიხარია, რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის თუ სხვა სფეროებში. უდიდესი სიამოვნებით ვეცნობი ახალბედა მწერლების, მუსიკოსებისა თუ მხატვრების შემოქმედებას და მიხარია, რომ ასეთი მონდომებული და ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს.

- ბათუმი და თქვენ - ამ ქალაქის მერი რომ იყოთ, ანდა ნებისმიერი ქალაქის, რას გააკეთებდით მისთვის?

- ბათუმში დავიბადე და გავიზარდე, ეს ქალაქი განსაკუთრებულად მიყვარს, სიყვარულის და სითბოს ქალაქია. ნებისმიერი ქალაქის სიკეთის და წარმატების გზა ახალგაზრდებზე გადის, ვეცდებოდი მაქსიმალურად, ბევრი შესაძლებლობა მიმეცა მათთვის დასაქმებისა თუ განვითარების მხრივ.

- ცნობილ ზნეობრივ ცნებათა შორის უპირატესად რომელს მიიჩნევთ?

- ყველა არსებითად მნიშვნელოვანია და რომელიმეს გამოყოფა კონკრეტულად გამიჭირდება.

- „შეიცან თავი შენი" - უძველესი შეგონებაა და მუდამ თანამედროვე... გვესმის კი მისი არსი?

- საკუთარი თავის შეცნობა ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა ცხოვრებაში, თუმცა, არა შეუძლებელი. აზრები ყოველთვის იყოფა, ნებისმიერ პიროვნებას განსხვავებული მიდგომა და აზრი ექნება აღნიშნულთან დაკავშირებით. მის ჭეშმარიტებას ყველა ინდივიდუალურად იგებს.

- შეკითხვა, რომელსაც თავად დაუსვამ საკუთარ თავს...

- რა იქნება შენი მომდევნო ნაბიჯი? მზად ხარ გამოწვევებისთვის?

> *ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის თუ სხვა სფეროებში. უდიდესი სიამოვნებით ვეცნობი ახალბედა მწერლების, მუსიკოსებისა თუ მხატვრების შემოქმედებას და მიხარია, რომ ასეთი მონდომებული და ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს*

უკრაინა

მარიუპოლის მერმა ვადიმ ბოიჩენკომ განაცხადა: „დაახლოებით 160 ათასი ადამიანი, ჩვენი შეფასებით, იმყოფება მარიუპოლში, სადაც ცხოვრება შეუძლებელია, რადგან საერთოდ არაფერია: არც წყალი, არც სინათლე, არც სითბო, არც კომუნიკაცია", - თქვა ბოიჩენკომ ტელემარათონის ეთერში. მან დასძინა, რომ ქალაქს სრული ევაკუაცია სჭირდება. „ჩვენი მთავარი მისიაა, გავაკეთოთ ის, რაც გვევალება. გვჭირდება მარიუპოლის სრული ევაკუაცია", - თქვა ბოიჩენკომ და დასძინა, რომ რუსეთი „ქალაქით თამაშობს".

* * *

უკრაინას გაცილებით მეტი მძიმე შორი მოქმედების არტილერია ესაჭიროება, - განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მრჩეველმა მიხაილ პოდოლიაკმა. მისი თქმით, რუსეთის ფედერაცია ყოველდღიურად კარგავს 510-530 ადამიანს და ეს მიუთითებს ბრძოლის უკიდურესად მაღალ ინტენსივობაზე და უკრაინელი სამხედროების მოტივაციაზე.

„რუსეთის ფედერაციისთვის შეუქცევადი დანაკარგების გაორმაგების/გასამმაგების მიზნით, აუცილებელია, მკვეთრად გაიზარდოს მძიმე და შორი მოქმედების საარტილერიო სისტემების ჭურვების მიწოდების მოცულობა". - ხაზს უსვამს პოდოლიაკი.

* * *

რუსი ოკუპანტები ხერსონის ოლქის ქალაქ გოლა პრისტანში შევიდნენ. ამის შესახებ ადგილობრივმა დეპუტატმა იური ზელენინმა განაცხადა.

მან მოსახლეობას მოუწოდა, არ დატოვონ სახლები და არ გამოიწვიონ დამპყრობლები. მისი თქმით, ქალაქი ყველა მხრიდან ალყაშია.

* * *

„რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, 3,8 მილიონმა ადამიანმა უკრაინა დატოვა. კიდევ 6,5 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია.

13 მილიონი ადამიანი ომის ზონებშია ჩარჩენილი და ვერ გამოდის იქიდან".

გაერო აცხადებს, რომ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შემოჭრის დაწყებიდან, 1119 მშვიდობიანი მოქალაქე გახდა რუსი ოკუპანტების მსხვერპლი, კიდევ 1790 დაიჭრა.

* * *

ბრიტანეთის დაზვერვის ანგარიშის მიხედვით, ბერდიანსკის პორტში „სარატოვისთვის" მიყენებული გამანადგურებელი დარტყმის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია აღარ არის დარწმუნებული უკრაინის სანაპიროებთან ოპერაციების წარმატებაში

„ბერდიანსკში „სარატოვის" სადესანტო გემის განადგურებამ შეარყია რუსეთის საზღვაო ძალების თვითრწმენა უკრაინის სანაპიროსთან შემდგომი ოპერაციების მიმართ".

* * *

„პუტინის გეგმები არასტრატეგიულია, რუსეთი, რა თქმა უნდა, ყველაფერს დაკარგავს - აფხაზეთსაც". - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რითაც მან უპასუხა ჟურნალისტის შეკითხვას, თუ რატომ წამოიწყო პუტინმა ომი უკრაინაში.

„მას მრავალვექტორული მიდგომა აქვს რუსეთის საკითხზე, რუსეთის ადგილზე მსოფლიოში, რუსეთის ფედერაციის ლიდერობაზე და ყველა იმაზე, ვინც რუსეთისგან წავიდა და ვისაც აქვს უფლება, არ იყოს რუსეთი. მთელი ისტორიაა აქ: კავკასია კავკასიაა, ქართველები ქართველები არიან, მოლდოველები - მოლდოველები, უკრაინა კი უკრაინაა. ეს სხვადასხვა ისტორიებია. უკრაინა სახიფათოა ბევრი თვალთახედვით. პირველ რიგში, ეს ეხება რუსული ენის გავლენის დაკარგვას. მან დაკარგა რამდენიმე მილიონი რუსულენოვანი მოსახლეობა. მას სურს, ეს ყველაფერი დააბრუნოს ძალის გამოყენებით. მეორე საკითხი არის უკრაინის წარმატება - გეოპოლიტიკური თვალსაზრისით და მოსახლეობის თვალსაზრისით, ზუსტად იცის, როგორი ხალხიც არის აქ. ბევრი მიზეზია, თუ რატომ იქცევა პუტინი ასე. „საბჭოთა კავშირის აღდგენა მინდა", - რამდენხნიანია ეს ამბიცია? რამდენი ხნის სიცოცხლე დარჩა? ნებისმიერი ადამიანი, რომელიც 70-80 წლისაა, კიდევ 50 წელს ხომ ვერ იცოცხლებს. მგონია, რომ მისი გეგმები არასტრატეგიულია. მისი ეს მთელი მრავალვექტორულობა... რუსეთი, რა თქმა უნდა ყველაფერს, აფხაზეთსაც დაკარგავს", - აღნიშნა ზელენსკიმ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ